# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 17 ივნისი, 2015 წელი.

№110 (7755)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.


# სტიქიის გაკვეთილები




2-6

„მდინარე ვერეს გვირაბში მოქცევა არასწორი იყო“

„ამ ყველაფრის დამპროექტებელი ნიჭიერი კაცი მეუბნებოდა, პროექტი არ არსებობს. ვინ დაგაცლის პროექტის გაკეთებასო?“

თუ მშენებლობის დაწყებაზე უკვე გაცემული ლიცენზიები სერიოზულად არ გადაიხედა, დედაქალაქი უმძიმეს დღეში აღმოჩნდება

ჯანსაღი აზრი და უგრეხელიძის სევდიანი საწამლავი

## სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ და დაზარალებულთა დასახმარებლად

თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ და დაზარალებულთა დასახმარებლად სპეციალური ანგარიშები „საქართველოს ბანკშიც“ გაიხსნა. ანგარიშის ნომერია: GE97BG0000000551792100 GEL/USD/EUR. სპეციალური ანგარიშები ასევე გახსნილია „ლიბერთი ბანკსა“ და „თიბისი ბანკშიც“.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მადლობას უხდის ბანკებს მხარდაჭერისთვის, რომელიც მათ თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ და დაზარალებულთა დასახმარებლად გამოიჩინეს.

გაუთოებული სახით მდგარი ბაქრაძე ნარმანიას რომ ეუბნებოდა, 100 კაცი გვყავს და მონაწილეობის მიღება გვინდა გმირთა მოედანზე მიმდინარე სამუშაოებშიო, რა საჭირო იყო ამისი კამერების წინ დაფიქსირება?

თუ საქმის გაკეთება უნდოდათ, მისულიყვნენ 11-სართულიანთან, ან ზედ მოედანზე, აეღოთ ხელში ნიჩბები და ემუშავათ ისე, როგორც უამრავი ახალგაზრდა მუშაობდა, მაგრამ...

„შეწუხებული“ სახით მორბენალ ხაბაზზე, გიგი თევზაძეზე, ე.წ. დეფიზე (თუ „დეფზე“), მოგოგმანე კობა სუბელიანზე და არანაკლებად გაუთოებულ გიგი წერეთელზე აღარაფერს ვამბობ.






7

## რატომ სძულთ მდიდრები საქართველოში?

მდიდრებმა იოლად გაიკვალეს გზა ხელისუფლებაში მყოფი მაღალ-დაბალი მოხელეებისკენ და ისეთ საქმეებს აკვარახჭინებენ, საბჭოთა პერიოდის „არტელშიკებს“ მიუქარავთ. თვალი შეავლეთ ვარაზის ხევში აშენებულ რესტორანს, სპორტის სასახლის წინა მოედანზე წამოჭიმულ უამრავ ნაგებობას, თბილისის ცენტრში გაჩეხილ ხეებს და შიგ ჩადგმულ საცხოვრებელ სახლებს. რომელი ერთი ჩამოვთვალო? ამის შემხედვარემ, გულახდილად მითხარით, რა ჰქვია ამას? სად არის ხელისუფლება ან მერია? სად არის საზოგადოება? რატომ ვდუმვართ?

## გაყალბებული ისტორია

### თურმე, მიქოიანმა გმირულად ჩაფუშა სტალინის ანტირუსულ-ოსური ავი ზრახვები

8

## ნოდარ ხადურმა და დავით ნარმანიამ დიპკორპუსს სტიქიის შედეგებზე ინფორმაცია მიაწოდეს

**ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრაზე ფინანსთა მინისტრმა და დედაქალაქის მერმა დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებს გააცნეს ინფორმაცია 13-14 ივნისს, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალისა და ამჟამად დედაქალაქში მიმდინარე სამაშველო და ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.**

საუბარი შეეხო კონკრეტული დახმარების საკითხებს, როგორც ფინანსური და ტექნიკური ხასიათის, ასევე ექსპერტული და სარეკონსტრუქციო მიმართულებით.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, უახლოეს პერიოდში, ფინანსთა სამინისტრო სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების კოორდინაციით დიპლომატიური მისიებისთვის მოამზადებს ერთიან დოკუმენტს, რომელშიც ასახული იქნება დეტალური ინფორმაცია, რათა თითოეულმა საელჩომ კონკრეტულად იმუშაოს საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტული პროექტებისთვის ფინანსური თუ ტექნიკური დახმარების გამოსაყოფად.

ასეთივე ფორმატის შეხვედრა ფინანსთა სამინისტროში საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისა და საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან გაიმართა.



## დახმარება ქუთაისიდან

**ქუთაისის მუნიციპალიტეტიდან თბილისში სტიქიით დაზარალებულებისთვის პროდუქტები და პირველადი მოხმარების ნივთები გამოაგზავნეს.**

**აღნიშნული დახმარება ვაკის გამგეობას გადაეცა და იგი დაზარალებულ 300-მდე ადამიანს დაურიგდება.**

იმერეთის გუბერნატორის გივი ჭიჭინაძის თქმით, ქუთაისიდან ჩამოტანილია საკვები პროდუქტი, ტანსაცმელი, ჰიგიენური საშუალებები, ჭურჭელი და ა.შ. მისი განცხადებით, ქუთაისის მუნიციპალიტეტიდან ჩამოსული დახმარება ერთჯერადი არ იქნება და თბილისს იმერეთის სხვა მუნიციპალიტეტებიც უახლოეს დღეებში დაეხმარებიან. მისივე ინფორმაციით, სტიქიით დაზარალებულებისთვის თანხის გადმორიცხვაც დაიწყება.

## სამედიცინო გამოკვლევა დაზარალებულთათვის

**როგორც „ინტერპრესნიუსს" დედაქალაქის მერიიდან აცნობეს, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა მოინახულა და 15 ივნისის მდგომარეობით მათი საჭიროებები აღწერა.**

თბილისის მერიამ დაზარალებულთა განთავსების ადგილებზე მიიყვანა მე-16 შერეული პოლიკლინიკის ოჯახის ექიმები, რომლებიც, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის თანამშრომლებთან ერთად დაზარალებულებს ადგილზე გაესაუბრნენ, სამედიცინო კონსულტაცია გაუწიეს და მათთვის საჭირო მედიკამენტების იდენტიფიცირება მოახდინეს. თბილისის ცხრა სასტუმროში გასაუბრება 44 ოჯახის წარმომადგენელთან მოხდა. 15 ივნისის მდგომარეობით, 173 ადამიანი აღირიცხა, საიდანაც 101 – ქალი, 72 – კაცი და 43 18 წლამდე ასაკის ბავშვია, მათგან 18 ბავშვი 6 წლამდეა. სტიქიით დაზარალებულთა გამოკითხვის მიხედვით გაირკვა, რომ 33-ს ესაჭიროება სხვადასხვა მედიკამენტი, 34-ს – სამედიცინო გამოკვლევა და 12-ს – ფსიქოლოგიური დახმარება.

თბილისის მერია ყველა დაზარალებულ ოჯახს პირველადი სააფთიაქო საჭიროებებით უზრუნველყოფს. მედიკამენტებით თბილისის მერიას „ავერსი", PSP, „სახალხო აფთიაქი", GPC და „ეი-ბი-სი ფარმაცია" მოამარაგებენ. ასევე, მათ, ვისაც სამედიცინო გამოკვლევები ესაჭიროება, ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკასთან კოორდინაციით, ეს მომსახურება გაეწევათ. ამასთან, თითოეულ სასტუმროში იმორიგევებენ „ავერსის" ოჯახის ექიმები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე გაუწევენ კონსულტაციას, ხოლო ბავშვებისთვის ადგილზე პედიატრების ვიზიტი განხორციელდება.

სტიქიის შედეგად დაზარალებულთა მეორე ნაწილის გამოკითხვა გაგრძელდება.

## კონცერტები სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად

**თბილისში მომხდარი ტრაგედიის გამო, 19 ივნისს, საკონცერტო დარბაზში დაგეგმილი ნატო მეტონიძის სოლო-კონცერტი გადატანილია 30 ივნისისთვის, „INTROსპექცია – ამბავი ჩვენზე" სტიქიის შედეგად დაზარალებულებს მიეძღვნება.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, იმ ადამიანებს, ვინც 19 ივნისისთვის კონცერტზე დასასწრები ბილეთები შეიძინეს 30 ივნისს იგივე ბილეთებით შეეძლებათ დარბაზში შესვლა. კონცერტის დაწყების დროც უცვლელია და 20:00 საათზე დაიწყება.

სტიქიის შედეგად დაზარალებულებს მიეძღვნება 28 ივნისს ნიკოლოზ რაჭველისა და მსოფლიოში აღიარებული ქართველი მევიოლინის ლიზა ბათიაშვილის საქველმოქმედო კონცერტიც.



## პროკურატურა ე.წ. კაბელების საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე განცხადებას ავრცელებს

**პროკურატურა აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ზემდგომმა და ამ შემთხვევაში საბოლოო ინსტანციამ – თბილისის სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა განჩინება, რითაც სრულად დააკმაყოფილა ბრალდების მხარის საჩივარი და დასაშვებად მიიჩნია, პროკურატურის მიერ წარდგენილი ყველა მტკიცებულება.**

ე.წ. „კაბელების საქმეზე", 2015 წლის 8 ივნისს პროკურატურის მიერ გასაჩივრებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 ივნისის განჩინება, რომლითაც ბრალდების მხარის მტკიცებულებების მცირე ნაწილი ცნობილი იქნა დაუშვებლად.

**„2015 წლის 15 ივნისის განჩინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ: 1) ბრალდების შესახებ დადგენილებები დასაშვები მტკიცებულებებია, რადგან მათი შედგენისა და საქმეზე პროცესუალურად დამაგრების დროს კანონის დარღვევებს ადგილი არ ჰქონია; შესაბამისად თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება – ეს საკვანძო მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები არ დაეშვა საქმის არსებით განხილვაზე, არის მიუღებელი, მიზანშეუწონელი, დაუსაბუთებელი, ბუნდოვანი, შუალედური და უკანონო. საქართველოს საერთო სასამართლოების მასშტაბით, მსგავსი გადაწყვეტილება არც ერთ მოსამართლეს არ მიუღია წინასასამართლო სხდომაზე და ამ მხრივ 2015 წლის 5 ივნისის განჩინება უპრეცედენტოა. 2) სასაქონლო ექსპერტიზის დაუშვებლად ცნობასთან დაკავშირებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ „არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს ცალმხრივ დასკვნებს", თითქოსდა ექსპერტს არ ჰქონდა უფლება დამოუკიდებლად დამატებითი ინფორმაცია მოეპოვებინა, ვინაიდან იგი მოკლებულია საფუძველს და არ გამომდინარეობს როგორც ზოგადად ექსპერტის უფლება-მოვალეობების, ისე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებიდან. სააპელაციო სასამართლოს განჩინების თანახმად ექსპერტის მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან მას სრული უფლება ჰქონდა, თავისი ინიციატივით ჩაეტარებინა ბაზრის კვლევა, მოეპოვებინა დამატებითი მასალა, ინფორმაცია და მისი მხრიდან სრულად იქნა დაცული „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებიც.**

**ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ვინაიდან სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა მოპოვებულია კანონის სრული დაცვით, „ავთენტიკურია, ნამდვილია და მასში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს" მის საფუძველზე მიღებული საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნაც კანონშესაბამისია",** – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

◉ კაკალ გულში

## წერტილოვანი ფრაზები

**● ერთი რამ, რასაც რატომღაც არავინ აქცევს ყურადღებას: – ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი ტელეკამერების წინ არ მარიაჟობს! შეკითხვებზე აქვთ ლაკონური, ზუსტი და ამომწურავი პასუხები! რა თქმა უნდა ყველანი ღელავენ, განიცდიან ამ უბედურებას, მაგრამ მათი ნორმალური და რეალისტური დამოკიდებულება საზოგადოებას ამშვიდებს!**

**● №131 მარშუტკას გამოვყევი, მაყაშვილზე რომ ჩამოუხვია, საშინელი საცობი გაიჩითა. მძღოლმა გოგებაშვილით გავალ, ბელინსკიდან რომ ამოდიან მანქანები, იმიტომაა საცობიო.** თან შანიძეც დაკეტილი იყო და მაყაშვილი-პეტრიაშვილის მონაკვეთი იყო გაჭედილი.

ვიღაც ქალმა ატეხა პანიკა, ასე რატომ წამოხვედიო, მერე წყევლასავით გვითხრა, ასეთები რომ ხართ, იმიტომ ისჯებითო და ბელინსკის კუთხეში ჩავიდა!

1. ალბათ დასჯაში ის იგულისხმა, მიშა რომ აღარ არის პირველი პირი.

2. საიდან იჩეკებიან ასეთი არსებები (დღეს ცუდ სიტყვას არ დავწერ) რომლებსაც 10, ან თუნდაც 20 მეტრი დაღმართის ფეხით გავლა რომ ეზარებათ და რადგან ფულს იხდიან, მანქანამ მაინცადამაინც ტუალეტამდე უნდა მიიყვანოს (თუნდაც ერთი საათი დააგვიანდეს).




3. არ იფიქროთ მოხუცი იყო, ან რაიმე უჭირდა, ან ბარგი ჰქონდა, არაფერი მსგავსი. კაი ჯანმრთელი ქალი იყო. მარტო დაასუფთავებდა მთელს გმირთა მოედანს!

**● თუ გაწვიმდა, უდუმაშვილს და ჯოჯუას არ ესროლოთ – დააძინეთ!**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

**მდინარე ვერე თერგივით დაუმორჩილებელი არ არის, მაგრამ თბილისის ისტორიამ აჩვენა, რომ, ერთი შეხედვით, ამ პატარა მდინარის გოფრირებულ მილში მოქცევა დაუშვებელი იყო. მდინარე ვერეს ხეობაში მე-19 საუკუნეში წყლის წისქვილები იყო ჩამწკრივებული და ვერეს წყალს თბილისელები სასმელადაც იყენებდნენ. მოგვიანებით, 1927 წელს, აქ თბილისის ზოოპარკი დაარსდა, მაგრამ მდინარე ვერე თბილისის ზოოპარკს არ წყალობდა. 1960 წლის 4 ივლისს, ისევე, როგორც ახლა, თბილისს საშინელი სტიქია დასტყდომია თავს. მაშინაც ადიდებულა მდინარე ვერე, დაუტბორავს ზოოპარკი, ყველა ცხოველი დაღუპულა, მაშინაც გადარჩენილა ბეჰემოთი...**

# „ამ ყველაფრის დამპროექტებელი ნიჭიერი კაცი მეუბნებოდა, პროექტი არ არსებობს, ვინ დაგაცლის პროექტის გაკეთებასო?“



მომხდარის შემდეგ გაჩნდა კითხვები, უნდა დაისაჯონ თუ არა ის ადამიანები, რომლებმაც ვერ გათვალეს მდინარე ვერეს ვერც წარსული და ვერც მომავალი, ვინც ესტაკადის მშენებლობა დაგეგმა სპეციალისტთა საქმეში ჩართვის გარეშე და ვინც გოფრირებულ მილში მოაქცია დაუმორჩილებელი მდინარე ვერე?

ყოფილი ხელისუფლების მხრიდან გაუთვალისწინებელი მშენებლობები აშკარაა, მაგრამ შეეძლო თუ არა ქალაქის ახალ ხელმძღვანელობას ამ რისკების თავიდან გათვლა და წინამორბედთა მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორება?! თავის დროზეც მდინარე ვერეს ნაწილი მილში მოაქციეს და სწორედ ამან გამოიწვია ტრაგედია. ამჟამად კი, მდინარე ვერეს გაცილებით დიდი ნაწილი მოახვედრეს გოფრირებულ მილში და სტიქიამაც არ დააყოვნა. როგორც იხსენებენ, მდინარე ვერემ არა მარტო 1960 წელს შექმნა პრობლემები, არამედ 1963 წელსაც, შემდეგ — 1972 და 1995 წლებშიც. მაშინ ამბობდნენ, თბილისის შემოგარენი ფერდობები ტყიანი რომ ყოფილიყო, ასეთი მოვლენები არ განვითარდებოდაო. განსაკუთრებით, მძიმე სიტუაცია იყო 1972 წელს, როცა ზოოპარკი მთლიანად დაიტბორა, წყლის ნაკადმა კი საცხოვრებელი სახლები დატბორა და მანქანები მტკვარში ჩაიტანა.

**„თანამედროვე ქალაქებში ხევის ადიდების შედეგად ადამიანები არ იღუპებიან“,** — აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი** და მოითხოვს, ამაზე პასუხი არქიტექტორებმა, ურბანული დაგეგმარებისა და ქალაქის განვითარების სპეციალისტებმა გასცენ.

არქიტექტორი **გიგა ბათიაშვილი** მიიჩნევს, რომ ყველაფერი ხუშტურებით იმართებოდა და არც ამ პროექტს უნდა ჰყოლოდა ავტორი, არქიტექტორი, თორემ კარგი არქიტექტორი არ დაუშვებდა მდინარე ვერეს ხეობაში ხელოვნურ ჩარევას, სადაც მარჯვენა მხარე ეროზიულია, მარცხენა მხარეს კი ფშვნადი კლდეა.

ახალი გზის პროექტირება „საქგზამეცნიერებამ“ განახორციელა, მშენებლობა კი — კომპანია „Caucasus road project“-მა. თავის დროზე For.ge ესაუბრა აღნიშნული პროექტის მთავარ არქიტექტორს, „საქგზამეცნიერების“ დირექტორს **თამაზ შილაკაძეს.** მაშინ თამაზ შილაკაძე გვარწმუნებდა, რომ ესტაკადა, რომელიც ჩადიოდა ვერეს ხეობაში, შემდეგ ადიოდა მთის წვერზე და ისევ ჩამოდიოდა სერპანტინად ვაკე-საბურთალოს გზაზე, პრობლემას არ შექმნიდა ვერეს ხეობისთვის და არ დაუკარგავდა გმირთა მოედანს თავის ფუნქციას. დღეს კი თამაზ შილაკაძე აცხადებს, რომ ეს უბედურება ვერეს ხეობაში კი არ დაიწყო, არამედ — ახალდაბაში (მდინარე ვერეს მარჯვენა მხარეს, მთაწმინდის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე). მისი თქმით, ეს გამოიწვია სტიქიურმა მოვლენამ, მთას მოსწყდა დიდი მასივი, რომელმაც ჩახერგა 500 მეტრი სიგრძის გზა, შემდეგ ეს მასივი დაეცა წყნეთი-ახალდაბის მონაკვეთს, ესეც ჩახერგა, ჩავიდა ვერეს ხეობაში და მდინარე ვერე ჩაკეტა. ახალ გზამდე მან ყველაფერი წალეკა და ამ დიდ მასივს და დიდ წარღვნას ვერანაირი მილი ვერ გაატარებდა. ეს სუფთა წყალი არ იყო, აქ იყო ხეები და ასე შემდეგ, პროექტირების პერიოდში კი ყველაფერი გათვლილი, გათვალისწინებული იყო, მათ შორის, წყლის ადიდებაც და მდინარე ვერეს ისტორიაც.

ჩვენ დავუკავშირდით ურბანისტ **ნიკო კახეთელიძეს,** რომელმაც თავის დროზე გააფრთხილა ნაციონალური ხელისუფლება, რომ არ შეიძლებოდა მდინარე ვერეს კალაპოტში მოქცევა. თუმცა, ნიკო კახეთელიძემ დროის უქონლობა მოიმიზეზა და მომხდარის შესახებ საუბარი არ ისურვა. ამის მიუხედავად, ცნობილია მისი პოზიცია, რომ, თუ მშენებლობის დაწყებაზე უკვე გაცემული ლიცენზიები სერიოზულად არ გადაიხედა, დედაქალაქი უმძიმეს დღეში აღმოჩნდება.

ასოციაცია „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ ხელმძღვანელი **ანზორ საკანდელიძე** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ტრაგედია ნაციონალების ხუშტურმა გამოიწვია, რომლებიც დაიჩემებდნენ რაღაცას, არიქა, უნდა გავაკეთოთო და სპეციალისტებს არაფერს ეკითხებოდნენ. პროექტის შედგენის წინ გეოლოგიური გამოკვლევები იგნორირებული იყო და ეს გათვლები საერთოდ ამოაგდეს შესასრულებელი სამუშაოების ციკლიდან.

**„უპირველეს ყოვლისა, სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო და გამოკვლეულიყო როგორ იქნებოდა გმირთა მოედანთან გაჭრილი ახალი ტრასის ბუნებასთან შეთავსება. ამის ნაცვლად ხეები მოჭრეს, ეკოლოგიური წონასწორობა დაარღვიეს. სააკაშვილს ლენტის გაჭრა ეჩქარებოდა. ამ სამუშაოებით უდიდესი „ატკატები“ კეთდებოდა და, თუ ასმილიონიანი სამუშაო იყო შესასრულებელი, 50 მილიონი უკან უნდა მიეტანათ. განსაკუთრებით საშიში ზონაა მთელი ვერეს ხეობა და, სადაც ეს გზა გაიჭრა, აქ ისეთი მცოცავი გრუნტებია, საცხოვრებელი სახლები კი არა, საინჟინრო სახლის ჩადგმაც არ შეიძლება. მთის მდინარეები და, ზოგადად, წყლის რეჟიმი არტახებში მოქცევას ვერ იტანს. გააკეთეს საშინელება. მდინარე მეტრ-ნახევარი თუ ორმეტრიანი დიამეტრის მილში მოაქციეს, მანაც გამოუშვა შლამი, ღორღი, ხეები წამოიღო, შიგნით გაჭედა და ვეღარ გაატარა, შემდეგ გადმოვიდა, რამაც ასწია მისი დონე და სიმაღლეზე ასულმა მდინარემ გამოიწვია კატასტროფა. ამ ყველაფრის დამპროექტებელი ნიჭიერი კაცი მეუბნებოდა, პროექტი არ არსებობს, ვინ დაგაცლის პროექტის გაკეთებასო? იყო ზეწოლა და მე მგონი, მთლიანი პროექტი ახლაც არ არსებობს, რომ ვიღაცამ პასუხი აგოს“,** — აცხადებს ანზორ საკანდელიძე.

იგი არტახებში მოქცეული მდინარისგან უბედურებას კიდევ ელის და ფიქრობს, რომ, შესაძლოა, გმირთა მოედანი მტკვარში აღმოჩნდეს. ექსპერტი იმასაც პროგნოზირებს, რომ მომხდარის გამო ხუდონზე ლაპარაკიც არ უნდა იყოს. კერძოდ, კავკასიონის ქედზე ქანების დაშლა მიმდინარეობს, მოსალოდნელია 9-10-ბალიანი უდიდესი მიწისძვრები და ამ დროს კავკასიონის კალთებზე ხუდონჰესის გაკეთება დანაშაულია.

CENN-ის გარემოსდაცვითი პროგრამების კოორდინატორი **რეზო გეთიაშვილი** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ მომხდარ ტრაგედიაში დამნაშავეა მთლიანად სისტემა, რომელიც რეალურად, არც არსებობს.

**„თუკი ვიცოდით, რომ დაპროექტების დროს იყო დაშვებული შეცდომები და ველოდით, რომ ეს მოხდებოდა, მაშინ რას ვაკეთებდით?! რას აკეთებდა სახელმწიფო, მისი თვითმმართველობა, თბილისის მერია?! იმის გამო, რომ ბუნებრივი კატასტროფების მართვის ფუნქცია 2000 წლის შემდეგ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მოეხსნა და ეს ფუნქცია შეითავსა თბილისის მერიამ, მერიაში რატომ არ არსებობს კარგად ჩამოყალიბებული სისტემა, რომელიც საფრთხეებს შეაფასებს? მით უმეტეს, საუბარია ისტორიულ საფრთხეებზე, კატასტროფებზე და ვერეს ხეობა პირველად არ დატბორილა“,** — აცხადებს რეზო გეთიაშვილი და მომხდარის გამო მხოლოდ ესტაკადის პროექტის დადანაშაულებას არ ეთანხმება. მისი თქმით, შეუძლებელი იყო, რომელიმე ინფრასტრუქტრულ პროექტს ეს უზარმაზარი ღვარცოფი, უზარმაზარი მასა გაეტარებინა. ამიტომ ერთი მეტრით მაღალი იქნებოდა გვირაბი თუ დაბალი, ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. უბრალოდ, ჩვენ უნდა გვცოდნოდა მეწყერის გააქტიურების შესახებ, უნდა გვცოდნოდა მისი დინამიკა, გვეწარმოებინა სტიქიაზე დაკვირვება და, თუ საჭირო გახდებოდა, ხელოვნურადაც გამოგვეწვია არამდგრადი ქანების ჩამოშლა, რათა არ მომხდარიყო მდინარის დაგუბება.

**„მდინარე ისე დაგუბდა, ვერავინ ვერაფერი გაიგო. 2011 წელს განხორციელდა კვლევა და მდინარის კალაპოტის გამტარობა მაშინ ძალზე დაქვეითებული იყო. მას მერე არაფერი გაკეთებულა, რომ ეს გამტარობა გაზრდილიყო. მართვის გამართულ სისტემაზე თუ არ გადავალთ, პრობლემები კვლავაც იქნება. მთელი საქართველოს მასშტაბით, ბევრი ადგილია მომზადებული ბუნებრივი კასტასტროფებისთვის. მაგალითად, ასეთია მლეთა, დუშეთის მუნიციპალიტეტში. არაგვის კალაპოტში დარჩენილი სახლები, ფაქტობრივად, ღვარცოფის თავზე მდებარეობს და ტრაგედია შეიძლება, ღამითაც მოხდეს, კალაპოტი რამდენიმე მეტრით აიწიოს და მივიღოთ მსხვერპლი. მით უმეტეს, მსხვერპლი უკვე გვქონდა და სამი წლის ბავშვი ხატია ნაზღაიძე შეეწირა კატასტროფას. მას მერე წლები გავიდა და მაინც არაფერი გამოსწორდა“.**

ეკოლოგი **ვახტანგ გვახარია** ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ 2011 წელს მათ განახორციელეს ვერეს ხეობის ვიზუალური აუდიტი. იმ დროს მათ გაიარეს ხეობაში, დააფიქსირეს ყველა დარღვევა, ნარჩენები, სიბინძურე და ეს ყველაფერი ანგარიშის სახით ჩაბარდა დამკვეთს. გარდა ამისა, გაიცა გარკვეული რეკომენდაციები გზის მშენებლობასთან დაკავშირებით.

**„უნდა დაისაჯონ თუ არა ესტაკადის პროექტის განმახორციელებლები? ეს ძალიან საპასუხისმგებლო ამბავია. ისინი ჩემი კოლეგები არიან, მაგრამ გასარკვევია, რა შეცდომები იყო დაშვებული. უნდა დაინიშნოს კომისია და ყველაფერი იმან გამოიკვლიოს. ჩემი მოსაზრებით, ეს იყო სტიქია, რომლის გათვალისწინებაც რთული იყო, კომპლექსურად არსებულმა ფაქტორებმა განაპირობა უბედურება. ვინ არის დამნაშავე, ვერ ვიტყვი“,** — აღნიშნა ვახტანგ გვახარიამ და განმარტა, რომ ჯერ ნაადრევია საუბარი, უნდა მოიშალოს თუ არა ესტაკადა.

**მანანა ნოზაძე**

◎ ალიან-ჩალიანი

## სტიქიის შედეგების დაძლევაში საქართველოს ევროკავშირიც დაეხმარება

**როგორც** ევროკავშირის ელჩმა იანოშ ჰერმანმა განაცხადა, ევროკავშირის სტრუქტურები კოორდინაციაში არიან საქართველოს მთავრობასთან და ახლა ხდება ფორმულირება იმ დახმარებისა, რომელსაც ევროკავშირი საქართველოსთვის გამოყოფს, როგორც დაუყოვნებლივ, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. იანოშ ჰერმანმა მწუხარება გამოთქვა საქართველოში დატრიალებული ტრაგედიის გამო და აღნიშნა, რომ ევროკავშირი ამ მძიმე წუთებში ქართველი ხალხის გვერდით არის. მან ასევე სამძიმარი გამოუცხადა ოჯახებს, რომელთაც დაკარგეს ახლობლები და საცხოვრისი.

„ჩვენ ვხედავთ საქართველოს მთავრობის ძალისხმევასაც ამ შედეგების დაძლევისთვის. ასევე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ სოლიდარობამ, რომელიც გამოხატული იყო ადამიანების მხრიდან. ახლა საკითხი დგას ჩვენთვის ასე: რისი გაკეთება შეგვიძლია. რასაკვირველია, დახმარება შეიძლება იყოს დაუყოვნებლივი, პირველადი მნიშვნელობის და ასევე დახმარება, რომელიც საჭირო იქნება უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში. თქვენ ალბათ უკვე ნახეთ, რომ ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა გამოხატეს დახმარების მზადყოფნა როგორც მატერიალური, ისე ექსპერტული თვალსაზრისით. ჩვენი უწყებები არიან ყოველდღიურ კავშირში საქართველოს მთავრობის შესაბამის სტრუქტურებთან იმისთვის, რომ მოხდეს ზუსტი ფორმულირება რა სახის დახმარება სჭირდება საქართველოს. დახმარება, რომელიც ევროკავშირიდან წამოვა, სრულ თანხვედრაში იქნება იმ საჭიროებებთან, რომელიც საქართველოს მთავრობას აქვს“, — განაცხადა ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოში იანოშ ჰერმანმა.

**ინტერპრესი**

# ჯანსაღი აზრი და უგრეხელიძის სევდიანი საწამლავი

## „შეეშვან ამ უცხოელ სპეციალისტს, რომელიც ფულს იღებს იმაში, რასაც შენ სთხოვ და არა იმაში, რაც საჭიროა“



**პრობლემების მოგვარების პარალელურად, მთავრობა იმ მიზეზების დადგენაზე მუშაობს, რამ გამოწვია სტიქია თბილისში. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, კომპეტენტური ჯგუფი შეისწავლის ამ საკითხს და საბოლოო დასკვნა გასაჯაროებული იქნება. ირაკლი ღარიბაშვილი მიიჩნევს, რომ უნდა დაისვას იმ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც წლების განმავლობაში, ყურადღება არ მიაქციეს ამ მდგომარეობას. მისივე თქმით, შესაბამის ჯგუფს უკვე დაავალა გამომწვევი მიზეზების დადგენაზე იმუშაოს.**

**— „ისე არ გაიგოთ, რომ მე ვაპირებ, წინა მთავრობას დავაბრალო მომხდარი, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს, აღინიშნოს სხვაობა მიდგომებში. რაც შეეხება ბრალდებებს და ექსპერტების შეფასებებს, რომლებიც ამბობენ, რომ ეს შეიძლება იყოს წინა ხელისუფლების დროს არასწორად განხორციელებული პროექტის ბრალი, არ ვარ ექსპერტი, მირჩევნია სპეციალისტებს ვკითხოთ აზრი. ჩვენი მიდგომები არის აბსოლუტურად განსხვავებული. ახალ გზაზე, რომელიც აშენდა ვერეს ხეობაში, ჩემი ინფორმაციით, არ იყო მანამდე წინასწარი გარემოს ზემოქმედების დასკვნა დადებული და ამის გარეშე მოხდა მშენებლობა“, — აცხადებს ირაკლი ღარიბაშვილი.**

თბილისში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებზე პასუხისმგებლობას ყოფილ ხელისუფლებას აკისრებს, არქიტექტორი, ქალაქმშენებელი **ირაკლი მასხარაშვილი,** რომლის განცხადებით, წინა ხელისუფლების მიერ გმირთა მოედანზე ესტაკადის აშენება გაუაზრებელი გადაწყვეტილება იყო.

**„მომხდარზე პასუხიმსგებლობა უნდა განაწილდეს ყოფილ ხელისუფლებაზე. მათი ერთპიროვნული გადაწყვეტილების შედეგია ის, რაც დღეს თბილისში ხდება. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, პროფესიული აზრი არ იქნა გათვალისწინებული. სტიქიასთან შევაჯიბრეთ ჩვენი მოქალაქეები. ვერეს ხეობა არის სტიქიური ზონა, რა ღონისძიებებიც არ უნდა ვატაროთ, მაინც რისკის ქვეშ ვამყოფებთ ჩვენს მოქალაქეებს. ახლა საუბარია გვირაბების გაფართოებაზე, კი ბატონო შეიძლება გვირაბები გავაფართოვოთ, მაგრამ უზარმაზარი რისკი მაინც რჩება. არავითარი უფლება არ გვაქვს რისკის ქვეშ ვამყოფოთ ჩვენი მოსახლეობა“,** — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **ირაკლი მასხარაშვილი.**

ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს, თბილისის მერის ყოფილი მოადგილე, **სევდია უგრეხელიძე,** რომლის განცხადებით, ესტაკადის მშენებლობასთან დაკავშირებით არსებობდა საექსპეტო დასკვნა და შესაბამისად, მშენებლობა კანონის დაცვით ჩატარდა.

**„გასაგებია, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობის ერთადერთი მიზანია ყველაფერი სხვას დააბრალოს, ეს ჩვეულებრივი ამბავია. რამდენ ჯიბის ექსპერტს მოიყვანენ და ათქმევინებენ, რომ გზის მშენებლობა ცუდად იყო დაგეგმილიო... მაგრამ ასეც, რომ იყოს, ეს არაფერ კავშირში არ არის იმასთან, რაც მოხდა. თუ ასეა, ყველაფერი იქნება გამოძიებული და ნათქვამი იმის თაობაზე, რატომ ვერ აღმოუჩინეს ადამიანებს დახმარება მეწყერის ჩამოწოლის შემდეგ და რატომ არ გადაკეთდა ესტაკადა. თუ ცუდი ესტაკადაა, რატომ არ გადააკეთეს? ეს პოლიტიკური ანგარისწორებაა. კი ბატონო, რა მნიშვნელობა აქვს ერთი ბრალით მეტი ექნება გიგი უგულავას თუ ნაკლები, მაინც პოლიტიკური პატიმარია. ამით ვერაფერს ვერ მიაღწევენ“,** — განაცხადა **სევდია უგრეხელიძემ.**

ნაციონალი სევდია უგრეხელიძის ეს თვალსაზრისი, ბუნებრივია, ყველაფრისმცოდნე მიშისტი ჩინოვნიკის ავადმყოფური აზროვნების შედეგია და მასზე სერიოზული კომენტარის გაკეთება წარმოუდგენლად მიგვაჩნია.

**თამთა ქარჩაიძე**

## ალიან-ჩალიანი

### ირაკლი ღარიბაშვილი - იდეის დონეზე ზოოპარკის სხვაგან გადატანა და მის ადგილზე სარეკრეაციო პარკის გაკეთება იგეგმება



— **ამის** შესახებ ჟურნალისტებს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განუცხადა, რომელიც თბილისის მერ დავით ნარმანიასთან ერთად გმირთა მოედანზე იმყოფებოდა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, მომხდარმა სტიქიამ ზოოპარკის გადატანის საკითხი დღის წესრიგში დააყენა.

„ეს თემა დღეს არაერთხელ გაჟღერდა, ეს საკითხი აქტიურად განიხილება და ამ საკითხს ჩვენ აქტიურად დავაყენებთ, რომ მოხდეს ზოოპარკის გადატანა და იმ ადგილზე უნდა გაკეთდეს, პირველადი მონაცემებით, რეკრეაციული პარკი. შეიძლება ამას ეწოდოს სოლიდარობის პარკი ან რაღაც დასასვენებელი ქალაქის ცენტრში და ზოოპარკი გადატანილი უნდა იყოს სხვა ადგილზე. ეს არის იდეის დონეზე, რომელიც შეგვიძლია გავაჟღეროთ და ამ იდეას, ჩვენ პროექტის დონეზე დავამუშავებთ“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

### თბილისის ზოოპარკის ადმინისტრაცია დახმარების მსურველებს მოუწოდებს, თანხას საეჭვო ანგარიშის ნომრებზე ნუ გადარიცხავენ

**როგორც** თბილისის ზოოპარკიდან იტყობინებიან, დაფუძნებულია თბილისის ზოოპარკის დახმარების საქველმოქმედო ფონდი. „ინტერნეტით ვრცელდება სხვადასხვა ანგარიშის ნომრები და მოწოდებები ზოოპარკის ფინანსურ დახმარებასთან დაკავშირებით. გთხოვთ, ნუ გადარიცხავთ თანხას საეჭვო და არაოფიციალურ ანგარიშის ნომრებზე“, — აცხადებს თბილისის ზოოპარკი და მოქალაქეებს მოუწოდებს, ფინანსური დახმარების აღმოჩენის სურვილის შემთხვევაში გამოიყენონ მხოლოდ შემდეგი ანგარიშის ნომრები:

FOR GEL TRANSFERS:
JSC "TBC Bank", Saburtalo Branch
BANK CODE - TBCBGE 22
NAME OF BENEFICIARY - TBILISIS ZOOPARKIS DAKHMAREB6S SAKVELMOKMEDO FONDI
BEN' S ACCOUNT - GE91TB7898336080100004
FOR USD TRANSFER:
BENEFICIARY'S BANK: HEAD OFFICE SWIFT: TBCBGE22
JSC "TBC Bank", Saburtalo Branch
SWIFT: TBCBGE22838
NAME OF BENEFICIARY: TBILISIS ZOOPARKIS DAKHMAREB6S SAKVELMOKMEDO FONDI
BEN'S Account: GE11 TB78 9833 6180 1000 05

FOR EUR TRANSFER5
BENEFICIARY'S BANK: HEAD OFFICE SWIFT: TBCBGE22
JSC "TBC Ban", Saburtalo Branch
SWIFT: TBCBGE22838
NAME OF BENEFICIARY: TBILISIS ZOOPARKIS DAKHMAREB6S SAKVELMOKMEDO FONDI
BEN'S Account: GE81 TB78 9833 6180 1000 06

### მტაცებელი ცხოველების მხრიდან მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება

**ამის** შესახებ უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანმა მინდია ჯანელიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„რაც შეეხება მდგომარეობას ცხოველებთან დაკავშირებით, გუშინ გავრცელდა ზოოპარკის ადმინისტრაციის მხრიდან ინფორმაცია, რომელიც გადამოწმდა და დადასტურდა, რომ ყველა ცხოველი, რომელიც დაიკარგა ზოოპარკის ტერიტორიიდან, ან დაბრუნებულია ზოოპარკის ვოლიერებში, ან არის ნაპოვნი წყალში დამხრჩვალი, ან არის ლიკვიდირებული. ასე, რომ მოსახლეობის საყურადღებოდ



მინდა ვთქვა, რომ ამ ეტაპისთვის მტაცებელი ცხოველების მხრიდან მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება“, — განაცხადა ჯანელიძემ.

### „მწვანე მუშტი“ ზოოპარკის ტერიტორიაზე ცენტრალური ტყე-პარკის გაშენებას ითხოვს

**„მწვანე მუშტი“** მოითხოვს: გაიწმინდოს ვერეს ხეობა სათავიდან შესართავამდე; ხეობის მიმდებარედ დამონტაჟდეს მეწყერისა და სხვა სტიქიის საწინააღმდეგო ტექნიკა; ზოოპარკის ტერიტორიაზე გაშენდეს თბილისის ცენტრალური ტყე-პარკი, რომლის შემადგენლობაში შევა ხეობის გაუსხვისებელი ტერიტორიები. ტყე-პარკის განაშენიანება უნდა მოხდეს როგორც რეკრეაციული, ასევე გარემოსდაცვითი ფუნქციების შესრულების მიზნით.

### ზოოპარკის ტერიტორიის გაწმენდით სამუშაოებში ერაყელი სტუდენტებიც ჩაერთნენ

**წყალდიდობის** შედეგად მიყენებული ზარალის აღმოფხვრის სამუშაოებში, ასევე ზოოპარკის გაწმენდით სამუშაოებში ერაყელი სტუდენტებიც ჩაერთნენ. ისინი ზოოპარკის ტერიტორიაზე მივიდნენ, რათა მაშველებს ზოოპარკის გაწმენდაში დაეხმარონ. როგორც სტუდენტებმა განაცხადეს, ისინი მწუხარებას გამოთქვამენ თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამო და გადაწყვიტეს, ქართველებს დაეხმარონ. თბილისის ზოოპარკთან 20-მდე სტუდენტი არის მისული.

### ისრაელელი და ჩეხი სპეციალისტები თბილისის ზოოპარკს დაეხმარებიან

**ისრაელისა** და ჩეხეთის ზოოპარკის სპეციალისტები ქართველ კოლეგებს დაეხმარებიან. „ისრაელი გვთავაზობს, იერუსალიმის ბიბლიური ზოოპარკის სპეციალისტების დახმარებას, კერძოდ, მოკლე პერსპექტივაში ზოოპარკის სპეციალისტების მოვლინებას თბილისში — სპეციალური აღჭურვილობით, თბილისის ზოოპარკიდან გაქცეული მხეცების უვნებელი ევაკუაციის მიზნით. გრძელვადიან პერსპექტივაში კი, თანამშრომლობას თბილისის ზოოპარკის აღდგენის მიზნით“, — აცხადებენ საგარეო უწყებაში.

ამასთან, საქართველოში ჩეხეთის საელჩოს ინფორმაციით, თბილისში უკვე ჩამოვიდა ექვსი ჩეხი ექსპერტი, რომლებიც თბილისის ზოოპარკს თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ და საჭიროებისამებრ დახმარებას გაუწევენ.

2002 და 2013 წლებში პრაღის ზოოპარკი წყალდიდობის შედეგად დაიტბორა.

### ოდესის ზოოპარკი მზადაა, თბილისის ზოოპარკს 20-მდე ცხოველი აჩუქოს

**„იმის** გათვალისწინებით თუ რა მასშტაბის ტრაგედია დატრიალდა და რა სირთულეებთან არის დაკავშირებული ზოოპარკში ცხოველების კვლავ თავმოყრა, ოდესის ზოოპარკი მზადაა, თბილისის ზოოპარკს არაერთი ცხოველი აჩუქოს“, — წერია ოფიციალურ განცხადებაში.

გავრცელებული ინფორმაციით, იგეგმება აქლემის, ირმის, ბუს, ციმბირული თხის და სხვა ჯიშის ცხოველებისა და ფრინველების გაგზავნა. ოდესის ზოოპარკის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ ნაჩუქარი ფრინველები და ცხოვლები ქართველებს დაეხმარება ზოოპარკის ბინადართა კოლექციის აღდგენაში.

ოფიციალური ინფორმაციით, ცხოველების გაგზავნა თბილისის ზოოპარკის ხელმძღვანელობასთან კონსულტაციების და საჭირო პროცედურების დასრულების შემდეგ მოხდება.

**ინტერპრესი**

კომენტარი

# აჩქარებითა ქალაქი არავის უშენებია!



## თუ მშენებლობის დაწყებაზე უკვე გაცემული ლიცენზიები სერიოზულად არ გადაიხედა, დედაქალაქი უმძიმეს დღეში აღმოჩნდება

**თბილისში 13 ივნისს დატრიალებულ ტრაგედიასა და საქართველოში მშენებლობის სფეროში არსებულ პრობლემებზე „ინტერპრესნიუსი“ ურბანისტ ნიკო კახეთელაძეს ესაუბრა.**

**— ბატონო ნიკო, გასაგებია, რომ ახლა არ არის ბრალდებებისა და დამნაშავის ძებნის დრო, მაგრამ ფაქტია, რომ ვერეს ხეობასა და გმირთა მოედანზე დატრიალებული ტრაგედია მხოლოდ სტიქიის ბრალი არ არის. თუნდაც ოთხსაათიანი წვიმა ასეთი კატასტროფული შედეგებით არ უნდა სრულდებოდეს. თქვენ რას იტყოდით მომხდარზე?**

— რა თქმა უნდა, ეს სტიქია იყო, აქ სათუო არაფერია. სამწუხარო და საწყენი ის არის, რომ ვერეს ხეობაში სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე არ მოხდა იმ ფაქტორების გათვალისწინება, რომელმა ფაქტორებმაც ასე იმოქმედეს წყალდიდობის დროს. ვგულისხმობ ხეობის გეოლოგიას, პროექტის არასრულობას, გარემოზე ზემოქმედების შეუფასებლობას, გზების კონსტრუქციას. ეს ყველაფერი უგულებელყოფილი იყო და უმოკლეს ვადებში აშენდა. ამიტომ, მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

**— თქვენ ბრძანებთ, რომ საქართველოში არ არსებობს არქიტექტურისა და მშენებლობის მკაცრი რეგულაცია და ყოველ მშენებლობაზე ლიცენზიის გაცემას წინ სერიოზული კვლევა არ უსწრებს. თქვენი აზრით, ამ სფეროში რატომაა ასეთი სავალალო მდგომარეობა?**

— წინა ხელისუფლების დროს რეგულაციიდან გაათავისუფლეს ყველა დარგი. იმისთვის, რომ გარკვეული პროგრესული ნაბიჯები გაკეთებულიყო, ზოგიერთ დარგებში ეს შესაძლებელი იყო, მაგრამ მშენებლობასა და არქიტექტურაში არ შეიძლებოდა. ნებისმიერი მშენებლობა ხომ ნორმებს უნდა შეესაბამებოდეს. ამის გარეშე ძალიან რთულია მშენებლობასა და არქიტექტურაზე საუბარი. მშენებლობაში დერეგულაციამ ამ სფეროში ძალიან ბევრი წუნი და ხარვეზი გამოიწვია. რეალურად ყველაფერი ამის ბრალია. პრაქტიკულად, სამშენებლო კომპანია აქვს ყველას. უმრავლეს შემთხვევაში ამ კომპანიებს არ ჰყოფნით პროფესიონალები, არც ფინანსურად შეუძლიათ სწორად აწარმოონ სამშენებლო პოლიტიკა და აშენონ ხარისხიანად. ამიტომაცაა, რომ ასეთ დღეში ვართ. თუ არ მოხდა მშენებლობის დარგის რეგულირება, ჩვენ კიდევ უფრო სავალალო შედეგებს მივიღებთ.

**— გამოდის, რომ არ ვიცით, რა მდგომარეობაშია ის ობიექტები, რომლებიც წინა წლებში აშენდა...**

— ფაქტობრივად, ასეა. თუკი ადამიანმა ხილულად არ დაინახა წუნი, ძალიან რთულია, დაადგინო, რა მდგომარეობაშია ესა თუ ის შენობა. ეს ხომ წლების შემდეგ აუცილებლად იჩენს თავს.

**— 13-14 ივნისის ტრაგედიამ არა მარტო ვერის გზისა და გვირაბის, არამედ ნებისმიერ მშენებლობაზე სერიოზული პასუხისმგებლობის დაკისრების თემა გააჩინა. საუბარია დამპროექტებლებისა და სამუშაოების მწარმოებლების პასუხისმგებლობაზე...**

— ძალიან მარტივი დასადგენია, თუ ვისზეა პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში. თუ პროექტს ვნახავთ, იქ კარგად ჩანს, ვინ დააპროექტა, ვინ მოიწონა, ნებართვა ვინ გასცა, სამუშაოები ვინ შეასრულა. ამ მასალების შესწავლისას ვნახავთ, რომ არანაირი გეოლოგიური კვლევა ამ ხეობისა არ ჩატარებულა. 200 კვ. შენობასაც რომ ვაშენებთ, მშენებლობის ადგილის გეოლოგია კარგად უნდა გვქონდეს შესწავლილი. ამ შემთხვევაში მოხდა უზარმაზარ ხეობაში შეჭრა, ტყის ნაწილის ჩამოჭრა, არასაიმედო გრუნტზე გზის გაჭრაც... უამრავი სამშენებლო ოპერაცია ჩატარდა ხეობის გეოლოგიის არცოდნის პირობებში. ამგვარი რამ მშენებლობაში ყოვლად წარმოუდგენელია.

**— პრემიერმა კი ბრძანა, რომ, თუ წინა ხელისუფლებამ მშენებლობაში დაუშვა შეცდომები, ჩვენ უნდა გამოვასწოროთო, მაგრამ იქვე დასძინა — „უნდა დაისვას კონკრეტული პირების პასუხიმგებლობის საკითხი“. ამ თემაზე ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები კი გამოითქმის, მაგრამ ფაქტია, თუ გვინდა მომავალში ავიცილოთ მსგავსი შეცდომები მშენებლობაში, ნებისმიერი ობიექტის მშენებლობაზე პასუხისმგებლობის თემა აქტიურად უნდა იქნეს დასმული. გაქვთ იმის მოლოდინი, რომ ამ საკითხში ხელისუფლება პრინციპულობას გამოიჩენს?**

— ეს ძალიან პრაგმატული საკითხია. დარწმუნებული ვარ, ხელისუფლებას აქვს სურვილი, რომ მშენებლობის დარგში პრობლემები მოწესრიგდეს. მთავარია, პოლიტიკური ნების საკითხი, ეს უკვე სხვა თემაა. ვიმეორებ, დარწმუნებული ვარ, პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილს უნდა, ამ სფეროში ბევრი რამ დალაგდეს, მაგრამ როგორ შეძლებენ ამის გაკეთებას, ვნახავთ.

**— „მაესტროს“ ეთერში თქვენ ბრძანეთ, რომ არ არსებობს დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც ყველა ნორმალურ ქვეყანაში არსებობს, არა აქვს მნიშვნელობა დედაქალაქია, დიდია თუ პატარა. ჩვენთან მსგავსი რამ რატომ არ ხდება?**

— ქალაქის განვითარების გეგმა რომ შეიქმნას, შემდეგ მაგ გეგმას ველარ გადაუხვევ. ვიღაცას რომ მოეპრიანება სადმე 30-სართულიანი სახლის წამოჭიმვა, ველარ აშენდება. გეგმის არარსებობის პირობებში ქაოტურ მშენებლობებზე ნებართვის გაცემა უფრო მარტივია.

**— ცნობილია, რომ მერიას ძალიან ბევრ მშენებლობაზე აქვს გაცემული ლიცენზია. რამდენად დიდია ალბათობა, რომ მომხდარის შემდეგ, ვიდრე პარლამენტი არ გაამკაცრებს სამშენებლო ბიზნესთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ბაზას, მერია ან თუნდაც ცენტრალური ხელისუფლება კორექტივებს შეიტანს ხელისუფლების სამშენებლო პოლიტიკაში და შეაჩერებს უკვე გაცემულ ლიცენზიებს მშენებლობაზე?**

— მე, როგორც ამ საქმის სპეციალისტი, ვამბობ — ხელისუფლებამ სამშენებლო პოლიტიკაში სერიოზული კორექტივები უნდა შეიტანოს. თუ მშენებლობის უკვე გაცემული ლიცენზიები სერიოზულად არ გადაიხედა, დედაქალაქი უმძიმეს დღეში აღმოჩნდება. ნაციონალების მმართველობის დროს იმდენი პროექტია დამტკიცებული, ყველა რომ განხორციელდეს, თბილისში დიდ ბაზრობას მივიღებთ.

**— უკვე ცნობილია, რომ ტრაგედიამდე ერთი საათით ადრე ჩაიხერგა ხეობა, მაგრამ მომხდარზე რეაგირება არც ერთ სამსახურს არ მოუხდენია. გამოითქმის მოსაზრება, რომ შესაძლებელი იყო პრევენციული ზომების მიღება, ხეობიდან ხალხის ევაკუაციის დაწყება, ახალ გზაზე მოძრაობის შეჩერება. ახლა რომელ სამსახურს ევალება ამგვარ მოვლენებზე სწრაფი და ეფექტური რეაგირება?**

— შესაძლოა, ეს იყოს მერიის რაიმე სამსახური, ან შსს-ს სპეციალური ქვედანაყოფი, ან საგანგებო მდგომარეობათა სამსახური. ამას გარემოს დაცვის სამინისტრო ვერ გააკეთებდა, იგი ამ სფეროში პოლიტიკის შემქმნელია და ასეთ მოვლენებზე პრაქტიკულ რეაგირებას ვერ მოახდენდა.

ესაუბრა
**კობა ბენდელიანი**

სამომავლო გეგმა

# როგორი იქნება თბილისის ახალი ზოოპარკი?

**თბილისის მერიის ინიციატივით, ზოოპარკი თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე გადავა, — ამის შესახებ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ტელეკომპანია „მაესტროს“ გადაცემა „ბიზნესკონტაქტში“ საუბრისას განაცხადა.**

მან ასევე ისაუბრა აღნიშნული ინიციატივის ჩამოყალიბების მიზეზებსა და იმ პროექტების განხორციელებაზე, რომლებიც რეკრეაციული ზონების განვითარებასა და გაფართოებას შეუწყობს ხელს.

**„მას შემდეგ, რაც თბილისში გმირთა მოედნიდან ვაკე-საბურთალოს მიმართულებით ახალი გზის გაჭრა მოხდა, იქ დაირღვა ეკოლოგიური მდგომარეობა. მდინარე ვერე მოექცა ხიდის ქვეშ, გაიჩეხა ხეები და ეკოლოგიური თვალსაზრისით, დამატებითი პრობლემები გაჩნდა. პრობლემები გაუჩნდათ ზოოპარკის მობინადრეებსაც. ამიტომ, ჩვენ გვაქვს მონახაზი, რომ ზოოპარკი გადავიტანოთ თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე. ხოლო ზოოპარკის ძველ ტერიტორიაზე დამატებითი რეკრეაციული ზონა შევქმნათ და გავაფართოოთ“,** — აღნიშნა თბილისის მერმა და დასძინა, რომ მერიის სურვილია, ზოოპარკისა და მზიურის ტერიტორიის ერთმანეთთან დაკავშირება საფეხმავლო ესტაკადით, როგორც ეს ბევრ განვითარებულ ქვეყანაშია.

**„დაირგვება დამატებითი ხეები, რათა ერთიანი სივრცე შეიქმნას და გარდა ამისა, გაკეთდება თანამედროვე ხმაურდამცავი მოწყობილობები, რითაც ხელს შევუწყობთ რეკრეაციული ზონების დაცვას, განვითარებასა და გაფართოებას,“** — განაცხადა თბილისის მერმა.

თბილისის ზღვის პირას მშენებარე ახალი ზოოპარკის პროექტის ერთ-ერთი სავარაუდო დიზაინი, როგორც ეს ვებ-გვერდ proctorandmatthews.com-ზეა აღნიშნული, ექვს მსხვილ ცხოველთა კოლექტიურ ზონას მოიცავს, რომლებსაც მშენებლობის ცალკეული სტრუქტურა ექნება. საიტის ინფორმაციით, ეს ჯგუფური გარემო გაერთიანებულია საერთო გეოლოგიური მიწის ნიადაგით. თითოეული ზონა აგრეთვე ხასიათდება ოთხი ბუნებრივი ელემენტით: წყალი, ჰაერი, მიწა და ცეცხლი — „მსოფლიოს ნედლი ტყეები“ (წყალი), „ველური ევროპა“ (ჰაერი), „აფრიკული სავანა და აზიური ნაბიჯები“ (მიწა) და საბოლოოდ, „ჩრდილოეთ ამერიკა“ (იელოუსტოუნის პარკი) და „ავსტრალიური ბუჩქებით დაფარული მიწა“ (ცეცხლი).

აღნიშნული სავარაუდო დიზაინი ეკუთვნის „Proctor and Matthews“-ის თბილისის ზოოპარკისთვის გამართული საერთაშორისო დიზაინის კონკურსში მიწვეულ წევრებს. თუმცა, საიტზე არ არის მითითებული, ვისი დაკვეთითაა შესრულებული პროექტი.

**„პროექტის დიზაინი შექმნილია ისე, რომ მიმზიდველი იყოს საერთაშორისო პუბლიკისთვის და მოიზიდოს მნახველები, რომლებიც შეძლებენ კვლევის ჩატარებას, საუბრების გამართვას და განათლების მიღებას. როდესაც დასრულდება თბილისის ზოოპარკის მშენებლობა, ის იქნება ერთ-ერთი ყველაზე დიდი ზოოპარკი მსოფლიოში და გახდება წამყვანი ველური ბუნების ატრაქციონი ევრაზიულ კონტინენტზე. ის შეძლებს მოიზიდოს 1.5 მილიონ მნახველზე მეტი წელიწადში.**

**თბილისის ზოოპარკი გახდება 21-ე საუკუნის ველური ბუნების ატრაქციონი და განუდგება 20-ე საუკუნის დრომოჭმულ ზოოპარკებს. თბილისის ზოოპარკში იქნება უბარიერო გარემო და შეიქმნება უპრეცედენტო თემატური ლანდშაფტები, რომელიც მნახველს მიანიჭებს წარუშლელ შთაბეჭდილებებს და ამასთან შეინარჩუნებს ყველა ჯიშის ბინადრისთვის საჭირო გარემოს.**





**ეჭვგარეშეა ფაქტი, რომ, როდესაც ზოოპარკის მშენებლობა დასრულდება, ის ევროპული სტანდარტების ადგილი გახდება. ოჯახებს შეეძლებათ დარჩენა საშუალოდ ერთი კვირის განმავლობაში. ამისთვის შეიქმნება მრავალი ხის სახლი, თემატური სასტუმროები. სასტუმროები აგრეთვე საჭიროა ზოოლოგიური კონფერენციების დელეგატების მოსაზიდად და გარემოს დაცვაზე ორიენტირებული მეცნიერების ყურადღების მისაპყრობად“,** — აღნიშნულია საიტზე.

## „ეს იყო გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა!“

ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივის“ ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ირაკლი მაჭარაშვილი მომხდარ სტიქიას გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკას უწოდებს.

მისი თქმით, ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი გზის პროექტის განხორციელება თავის დროზე დიდი შეცდომა იყო. მაჭარაშვილი ამბობს, რომ ეს იყო პოლიტიკური და არა თბილისის საჭიროებიდან გამომდინარე განხორციელებული პროექტი.

„მდინარე ვერეს ადრეც ახასიათებდა ასეთი წყალმოვარდნები, 1960 წელსაც მოხდა ასეთი ტრაგედია, მაშინაც დაიღუპა ცხოველები ზოოპარკში. მაშინ დაიწერა, რომ მილში იყო გატარებული მდინარე. ახლა მდინარე უფრო დიდ მილშია გატარებული... თავიდან ბოლომდე ეს იყო პოლიტიკური პროექტი და არა თბილისის საჭიროებებისთვის განკუთვნილი. ეს იყო გაკეთებული პოლიტიკური ოპონენტების ჯიბრზე — ისე ჩქარობდნენ ბოლო მონაკვეთზე, ბეტონის დაგებას ვერ ასწრებდნენ არჩევნებამდე და ასფალტი დააგეს. ამასთან გაიჩეხა 400-მდე ხე. მაშინ მოვითხოვეთ ეკოლოგიური ექსპერტიზა, მაგრამ არ მოგვცეს. ეს პროექტი არც არქიტექტორებთან იყო შეთანხმებული...“ — განაცხადა მაჭარაშვილმა.

## „მზიურში“ კიდევ ერთი ცხედარი იპოვეს

„მზიურში“ მოხალისეებმა და მაშველებმა კიდევ ერთი ცხედარი იპოვეს. გარდაცვლილი ახალგაზრდა გოგოა. ეს უკვე მესამე ცხედარია, რომელიც ბოლო 24 საათის განმავლობაში „მზიურში“ იპოვეს, მათგან ერთ-ერთი ინდირა ზარანდია იყო, მეორე კი — მაშველი ზურაბ მუზაშვილი.

ოფიციალური ინფორმაციით, ამ დრომდე სტიქიის შედეგად გარდაცვლილად 16 პირი ითვლება. ყველა მათგანი იდენტიფიცირებულია. დაკარგულად ითვლება 7 მოქალაქე. მიმდინარეობს აქტიურ რეჟიმში საძიებო სამუშაოები. დაშავებულები გადაყვანილები არიან თბილისის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში, მათი მდგომარეობა სტაბილურია და სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. დაშავებულები დღეს უფრო ნაკლებია, წინა დღეებში უფრო მეტი იყო სამედიცინო დაწესებულებისადმი მიმართვიანობა, — განაცხადა ჯანელიძემ.

## გმირთა მოედანს საელჩოს თანამშრომლებიც ასუფთავებენ

„ქართველი ახალგაზრდების უმაგალითო მოხალისეობითა და სოლიდარობით შთაგონებულები, აშშ-ის საელჩოს თანამშრომლები გმირთა მოედანზე გაწმენდით სამუშაოებს შეუერთდნენ. გვიყვარხარ, თბილისო!“, — ნათქვამია საელჩოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. აშშ-ის საელჩომ 13-14 ივნისის წყალდიდობის მსხვერპლთა პატივსაცემად დროშა დაუშვა.

## ეპიდემიის გავრცელების საფრთხე უსაფუძვლოა

ამის შესახებ თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა ავთანდილ სუდაძემ განაცხადა. მისი ინფორმაციით, სტიქიის ზონებში „მზიურის“ პარკში და ზოოპარკში გაწმენდითი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, რის შედეგადაც მოხდება ტერიტორიის დასუფთავება. შესაბამისად, სუდაძე ეპიდემიის გავრცელების საფრთხეს გამორიცხავს.

„გაწმენდითი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. პრიორიტეტულ მონაკვეთებად დღეს ითვლება „მზიური“ და ზოოპარკი. რაც შეეხება დანარჩენ ნაწილს, ძირითადი მონაკვეთები დასუფთავებულია, ეპიდემიის გავრცელების საფრთხეს მე პირადად უსაფუძვლოდ მივიჩნევ, რადგანაც ჯერ სულ ორი დღეა გასული რაც სტიქია მოხდა და მაქსიმუმ ორ დღეში მთლიანად მოხდება აღნიშნული ტერიტორიის დასუფთავება და მოწესრიგება, რაც ჩემი აზრით, ეპიდემიის გავრცელებას გამორიცხავს“, — განაცხადა ავთანდილ სუდაძემ.

ინტერპრესი




# „მდინარე ვერეს გვირაბში მოქცევა არასწორი იყო“

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ხიდსაცდელი ცენტრის ხელმძღვანელი თამაზ ცვარიანი თვლის, რომ გადაჭარბებულია საუბარი ვერეს ხეობის წალეკვის ალბათობაზე. ცვარიანი for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ვერეს ხეობაში მომხდარს კავშირი არ აქვს გზის ახალი ესტაკადის არასაწორ მშენებლობასთან. მისივე განცხადებით, ტრაგედია გამოიწვია წყნეთის ტერიტორიაზე ჩამოწოლილმა მეწყრულმა მასამ, რომელმაც მდინარე ვერეს ხეობა ჩაკეტა.**

**— ბატონო თამაზ, იზიარებთ სპეციალისტების განცხადებას, რომ მომხდარს კავშირი არა აქვს გზის ახალი ესტაკადის არასაწორ მშენებლობასთან, რა დროსაც არ ყოფილა გარემოზე ზემოქმედების შეფასება და მშენებლობა დაიწყო მანამდე, ვიდრე შესწავლა დასრულდებოდა?**

თამაზ ცვარიანი: მინდა გითხრათ, რომ წყნეთის ტერიტორიაზე ჩამოწვა დიდი მეწყერული მასა, რომელმაც ჩაკეტა მდინარე ვერეს ხეობა, დაგუბდა წყლის დიდი მასა, რამაც გამოიწვია წყალდიდობა. როგორც მეუბნებიან, დაახლოებით, 600-მეტრიანი გზის მონაკვეთი ჩავიდა ვერეს ხეობაში და ჩაკეტა ხეობა. ტრაგედიის მთავარი გამომწვევი მიზეზი არის მეწყერული მასის ჩამოწოლა და არა ის, პროექტი სწორი იყო თუ არა. რაც გინდა სწორი პროექტი ყოფილიყო, ასეთი ნაკადის შემთხვევაში ყველაფერს წალეკავდა.

**— ანუ, თქვენ თვლით, რომ მომხდარს კავშირი არა აქვს ესტაკადის მშენებლობასთან?**

— გადაჭრით შემიძლია გითხრათ, რომ ესტაკადის ბრალი არაფერი არ არის. თუ ბრალეულობაზეა საუბარი, მაშინ უნდა ითქვას, რომ არასწორი იყო მონაკვეთების მიხედვით მდინარე ვერეს გვირაბში მოქცევა. თვითონ ესტაკადის მშენებლობის პროექტს არ ვიცნობ, მაგრამ დაახლოებით ღამის 3 საათიდან ვიმყოფები შემთხვევის ადგილზე, მე რაც ვნახე, შემიძლია გითხრათ, რომ რაც არ უნდა კარგად გააზრებული, დათვლილი და საუკეთესო პროექტი ყოფილიყო, წუხანდელ სტიქიას ვერც ერთი პროექტი ვერ გაუძლებდა. ეს იყო მართლაც სტიქიური უბედურება.

**— იმისათვის, რომ არ მოხდეს ახალი ტრაგედია, რამდენად აუცილებელია ესტაკადის სრული რეკონსტუქცია? ნინო ჩხობაძე ამბობს, რომ თავის დროზე ესტაკადის მშენებლობა არასწორად მოხდა და რეკონსტრუქციის აუცილებლობაზე საუბრობს...**

— შეიძლება ქალბატონი ნინოს განცხადება რაღაცა გათვლებს ეფუძნება, მაგრამ სანამ მე თვითონ არ გავაკეთებ დასკვნას, არ შემიძლია, ვამტკიცო, აუცილებელია თუ არა სრული რეკონსტრუქცია. მთავარია ერთი რამ, ყველაფერს სჭირდება მუდმივი მონიტორი. ამ ქვეყანაში არ არსებობდა და არც ახლა არსებობს ექსპლუატაციის წესები. იგივე ხიდების მაგალითზე გეტყვით, რომ არა მარტო თბილისში, არამედ მთელს საქართველოში გვაქვს ხიდები, რომელთა სარემონტო სამუშაოები საერთოდ არ ჩატარებულა.

**— რამდენად დიდია ტრაგედიის განმეორების ალბათობა?**

— ყველაფერი შეიძლება მოხდეს, თუმცა, წინასწარ ძნელია ამის თქმა. ანალოგიური შეიძლება მოხდეს ნებისმიერი მდინარის მახლობლად. როგორც გითხარით, რაც მე ვნახე, ეს არ უკავშირდება ესტაკადას. ყველა უნდა ვიყოთ ყურადღებით, განსაკუთრებით მთავრობა და რაც მთავარია, უნდა ვიყოთ კანონმორჩილები.

**— დღესაც ძალიან ბევრი სადავო მშენებლობა მიმდინარეობს. ვჭრით ხეებს, სადაც არ უნდა ვჭრიდეთ, ვაშენებთ იქ, სადაც წესით, მიზანშეწონილი არ არის მშენებლობა და ა.შ. ამ ფაქტმა აჩვენა თუ არა, როდესაც ასეთი მასშტაბური პროექტი მზადდება, აუცილებელია არსებობდეს სპეციალისტების დასკვნა — თუ რა დადებითი და უარყოფითი გავლენა შეიძლება კონკრეტულმა პროექტმა გამოიწვიოს?**

— რა თქმა უნდა, და არა მარტო ასეთი მასშტაბური პროექტის შემთხვევაში, არამედ, როდესაც ერთსართულიან სახლს აშენებ, მაშინაც კი აუცილებელია შესაბამისი დასკვნა. გეოლოგიური და ჰიდროლოგიური სამუშაოებით იწყება ყველაფერი, რაც პროექტის შემადგენელი ნაწილია. ამ ყველაფრის მერე უნდა ჩატარდეს პროექტის ექსპერტიზა, დადებითი რეკომენდაციის შემდეგ უნდა გაიცეს მშენებლობის ნებართვა. ეს ყველამ უნდა იცოდეს. ვერ ვიტყვით, რომ დღეს ეს ყველაფერი არ ტარდება და ისე მიმდინარეობს მშენებლობა, მაგრამ მეორე საკითხია, რამდენად კვალიფიციურად ტარდება.

**— ვერეს ხეობის წალეკვის საფრთხეზეც გაკეთდა განცხადება, რამდენად სერიოზულია ეს საფრთხე?**

— მე მგონია, რომ გადაჭარბებულია ეს შეფასება.

**თამთა ქარჩავა**



## უნდა შეიქმნას სამთავრობო კომისია

„ავტობანის პროექტი ვერეს ხეობაში არქიტექტურის სამსახურს არ ულიარებია და არ დაუმტკიცებია, რაც თავისთავად არის დანაშაული“, — ამის შესახებ არქიტექტორი, ურბანისტი ლადო ვარდოსანიძე აცხადებს. როგორც მან გადაცემა „რეალურ სივრცეში“ განაცხადა, აუცილებელია, შეიქმნას სახელმწიფო სამთავრობო კომისია, რომელიც მომხდარს შეისწავლის.

„2006 წლის ოქტომბერში, როდესაც იხილებოდა ეს პროექტი, მე და ჩემმა კოლეგამ მივმართეთ პროტესტის წერილით ხელისუფლებას, სადაც პირდაპირ ვწერდით, რომ მდინარის წყლის ხარჯი ისეთი შეიძლება ყოფილიყო, რომ გამოეწვია უბედურება. რეაგირება ამ პროტესტს არ მოჰყოლია. აუცილებელია, შეიქმნას სახელმწიფო სამთავრობო კომისია, რომელიც მომხდარს შეისწავლის“, — განაცხადა ვარდოსანიძემ.

## ჩუღურეთის რაიონში მეწყერი ჩამოწვა

ჩუღურეთის რაიონში, ჩეჩელაშვილის ქ. №74 მდებარე საცხოვრებელი სახლის უკან მეწყერი ჩამოწვა. კრიზისების მართვის საბჭოს ინფორმაციით, მეწყერის ჩამოწოლის შედეგად დაზიანდა სახლის კედელი და სახურავი, დაბზარულია კედლებიც.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო პოლიციის, სამაშველო სამსახურისა და დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობის წარმომადგენლები. გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგები სწავლობენ ვითარებას, რის შემდეგაც განხორციელდება შესაბამისი სამუშაოები.

## გმირთა მოედანზე ტრანსპორტის მოძრაობა ნაწილობრივ აღდგენილია

ავტომობილებს გადაადგილება შეუძლიათ სასტუმრო „აჭარიდან“ სანაპიროს მიმართულებით გმირთა მოედნის ქვეშ არსებული გვირაბის გავლით, მოძრაობა დაშვებულია ასევე თამარ მეფის ხიდიდან სასტუმრო „აჭარის“ — კოსტავას მიმართულებით. ავტომობილებს გადაადგილება შეუძლიათ ფილარმონიიდან გმირთა მოედანზეც.

რაც შეეხება შეზღუდვებს, შეზღუდვები მოქმედებს გმირთა მოედანზე არსებულ ესტაკადაზე. კერძოდ, საავტომობილო მოძრაობა შეზღუდულია მტკვრის მარჯვენა სანაპიროდან ვარაზის ხევზე გადმომავალ პანდუსზე. შეზღუდვაა ასევე თამარ მეფის ხიდიდან ამომავალ პანდუსზე, რომელიც ვარაზის ხევზე გადმოდის. ასევე კიდევ ერთი შეზღუდვა მოქმედებს სასტუმრო „აჭარიდან“ — კოსტავადან მომავალ ავტომობილებზე, რომლებსაც გადაადგილება სურთ პანდუსის მეშვეობით ვარაზისხევზე.

როგორც თბილისის მერის მოადგილემ დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა, გზის დანარჩენ ნაწილზე, გმირთა მოედანზე არსებულ პანდუსზე შეზღუდვა სამუშაოების დასრულების შემდეგ აღდგება. რაც შესაძლოა 2 დღის განმავლობაში მოხდეს.

## რამდენიმე ოჯახი საცხოვრებელ ბინებს არ ტოვებს

წყნეთის ქუჩა №13 კორპუსში მცხოვრები 11 ოჯახი საკუთარი საცხოვრებელი ბინების დატოვებაზე უარს აცხადებს, — ამის შესახებ ნათქვამია სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს განცხადებაში.

„ჩატარდება გეოლოგიური კვლევა და მომზადდება შესაბამისი დასკვნა, რომლის შედეგად უნდა ჩატარდეს ნაპირსამაგრი სამუშაოები წყნეთის ქუჩაზე დამატებითი მიწის მასის ჩამოშლის თავიდან აცილების მიზნით. წყნეთის ქუჩა №13 კორპუსში მცხოვრები 11 ოჯახი უარს აცხადებს საკუთარი საცხოვრებელი ბინების დატოვებაზე. ეს ოჯახები საკუთარ თავზე იღებენ პასუხისმგებლობას საკუთარ სიცოცხლესა და უსაფრთხოებაზე“, — ნათქვამია განცხადებაში.

ინტერპრესი

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 11 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულმა სტატიამ სათაურით „მდიდრებმა ღარიბები აშკარად დაჯაბნეს“ – მიიქცია ჩემი ყურადღება. სტატიის ავტორი, უდავოდ პატივსაცემი ჟურნალისტი ოთარ ხუციშვილი, მისთვის ჩვეული პირდაპირობით წერს საქართველოში შექმნილ სოციალურ დისბალანსზე, რომელიც არასასიამოვნო მუსიკასავით გასდევს ჩვენს დაბეჩავებულ ცხოვრებას.**

***„ისინი (მდიდრები), მართალია ცოტანი არიან, მთელი საზოგადოების სულ რაღაც 5-7 პროცენტი, მაგრამ მაინც ხომ არიან? ნუ ვიქნებით უმადურები, მათ ის ჩაგვრა და უუფლებობაც ეყოფათ, რაც სოციალისტური წყობილების პირობებში გადაიტანეს. არაფერს ვაჭარბებ, კომუნისტებმა მდიდრებს სოციალური თავმოყვარება შეულახეს. მათ არ შეეძლოთ არათუ ეტრაბახათ თავიანთი ქონებით, არამედ საერთოდ გამოეჩინათ იგი, ამიტომ სულ მალავდნენ და ჩქმალავდნენ...“,*** – წერს ბატონი ოთარი.

რა გაეწყობა, გუშინდელნიც და დღევანდელნიც ერთად შეკრულნი, რაღაც უხილავი ძალის და, რაც მთავარია, დღევანდელი პოლიტიკური ელიტის, მათ შორის, ხელისუფლების გასახარად, ვლანძღავთ და ვაგინებთ არცთუ შორეულ წარსულს, რომელსაც გაცილებით წმინდა სულიერება ახლდა, ვიდრე დღევანდელ „თავისუფალ“ და „დემოკრატიულ“ ცხოვრებას.

მომავალმა „შემთხვევითმა“ ან „მიზანმიმართულმა“ მკითხველმა, რომ კარგად გაიგოს, რატომ სჯიდა კომუნისტური საზოგადოება ე.წ. მდიდრებს, რომლებიც ოქრო-ვერცხლს მიწაში ფლავდნენ, აუცილებელია, განვმარტოთ თვით კომუნისტური საზოგადოების არსი. მარტივად რომ ვთქვათ, იმ საზოგადოებაში მდიდრები ვერ იქნებოდნენ (თანამედროვე გაგებით), ვინაიდან კერძო საკუთრების, კერძო ბიზნესის და ა.შ. ცნება ნულს უტოლდებოდა. „მდიდარ“ კაცად სწორედ ის ითვლებოდა, ვინც თავისი შრომით, მარჯვენით ქმნიდა სახელმწიფოს დოვლათს. ამ კატეგორიაში შედიოდნენ მეცნიერები, სოფლის მეურნეობის მუყაითი მუშაკები, მოწინავე მაღაროელები, მშენებლები, მეტალურგები, მწერლები და ა.შ. მათი „სიმდიდრე“ ცხადია აჭარბებდა ჩვეულებრივი მუშა-მოსამსახურის და კოლმეურნის შემოსავალს, მაგრამ არც ისე, რომ უაღრესად განსხვავებული, სოციალური უთანაბრობა შეექმნა.

ნაკლებშემოსავლიანს თავში აზრადაც არ მოუვიდოდა, „მდიდარი“ მტრად გაეხადა, პირიქით „მდიდარი“ მეცნიერი, მაღაროელი და ა.შ. მისაბაძი იყო, რასაც ვერ ვიტყვით „არტელშიკებზე“, „დელეცებზე“, რომლებიც სახელმწიფოს ყვლეფის ხარჯზე, თაღლითობით, ქურდობით გახდნენ მილიონერები. ბატონ ოთარს ემახსოვრება ე.წ. „ლიქიორის საქმე“, რომელმაც მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ისეთი კორუფციული ბადე მოქსოვა, უარესს რომ ვერ იფიქრებდი იმჟამინდელი კაცი. ფალსიფიცირებული ალკოჰოლური სასმელის გაყიდვით შემოსული თანხა იმდენი იყო, რომ მისი ხარჯვა შეუძლებელი გახდა. და რა გააკეთეს ე.წ. ბიზნესმენებმა? ფული დაწვეს – არა ერთხელ, არამედ სისტემატურად. რა უნდა ექნა ხელისუფლებას? მათთვის თავზე ხელი გადაესვა და ეთქვა, ყოჩაღი ბიჭები ხართო? ქურდული, თაღლითური გზით მოპოვებული სიმდიდრის პატრონი არ უნდა „დაეჩაგრა“?

იატაკქვეშა, „შავმა“ წარმოებამ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, ისე გაიდგა ფესვი, რომ მანამდე საზოგადოების უდიდესი უმრავლესობისთვის მიუღებელი იატაკქვეშა მდიდარი უკვე სანატრელ პერსონაჟად გადაიქცა. სხვას ვერაფერს იტყვი, როდესაც ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელი, თუნდაც პარტიული მუშაკი (მალულად) დიდ ბედნიერებად თვლიდა „ძელეცთან“ ურთიერთობას.

სწორედ, იმ მდიდრებმა მოუღეს ბოლო საბჭოთა სისტემას. სწორედ, მათი ძალისხმევის შედეგად მოხდა მანამდე არსებული სულიერი სიწმინდის წაბილწვა, მოქრთამვა, პატიოსანი შრომის ფეხქვეშ გათელვა. იმ მდიდრებმა გამოწვრთნეს მაშინდელი პარტიული აპარატი აღებ-მიცემობაში. იმჟამინდელი პარტიული, უკვე კორუმპირებული მუშაკების, „დელეცების“ შვილები და შვილიშვილებია დღევანდელი გაუსაძლისი ცხოვრების შემოქმედნი.

**მოტყუებით, ავაზაკობით, თაღლითობით მოპოვებულმა ფულმა გზა გაუხსნა პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უსწავლელი, თავხედი, საკუთარ თავში დაჯერებული ახალგაზრდების თარეშს – მეტადრე შვილებისა და შვილიშვილების, ახლო ნათესავების სახით. ასე, რომ, ბატონო ოთარ, თქვენ რომ გულისტკივილით აღნიშნავთ, დღევანდელ მდიდართა ქცევაზე, ისინი იმათი ნაშიერნი არიან, ვისაც ის სისტემა „ჩაგრავდა“ და, როგორც ჩანს, ვერ დაჩაგრა.**



# რატომ სძულთ მდიდრები საქართველოში?

საქართველოს დღევანდელი მაგალითი უნიკალური არ არის, მაგრამ ყოფილ საბჭოთა სივრცეში რომ გამორჩეულია, მტკიცება არ სჭირდება, რის შესახებაც წერს ბატონი ოთარი: „დეპუტატი თუ ჩინოვნიკი, მინისტრი თუ პრეზიდენტის ნათესავი შეიძლება ჩადგეს უკანონო ბიზნესში, უოფლოდ და უშრომელად დააგროვოს ცხოვრება-ქონება, „მილიონები, მილიარდები, ააშენოს ოფისები და სასახლეები...“ და დაემუქროს ყველას, ვისაც ფული არ აქვს; ვისაც არ შეუძლია თაღლითობა, სხვისი გატანჯვით, სიცოცხლის ხელყოფით, საკუთარი ბედნიერების მოწყობა.

**სოციალური უთანაბრობა რომ აშკარად თვალშისაცემია, თბილისის ქუჩებში ხანმოკლე ყოფნითაც დასტურდება. ისედაც ვიწრო ქუჩები ვებერთელა „ჯიპებითაა“ გადატვირთული. ამ, არცთუ დიდ ქალაქში ძვირად ღირებული „ჯიპების“ გამოფენაა. როგორც ჩანს, თანამედროვე ქართველობა არავითარ სხვა ავტომანქანას არ ცნობს, გარდა უზომო „ჯიპისა“. შეძლებულები არა ერთს, არამედ რამდენიმეს ყიდულობენ. ნაკლებად შეძლებულები – მიბაძვით და ყიდვის შემდეგ ძრავის გაზზე გადაკეთებით.**

დღეს „ჯიპი“ სოციალური სტატუსის გამომხატველია და ქართული მეტიჩრობიდან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ნაკლებფულიანმა ვალი დაიდოს და ისეთ „ჯიპში“ გამოიჭიმოს, როგორც ფულიანი.

გასული საუკუნის სამოციან წლებში თბილისში „ბოლონია“ ლაბადები გამოჩნდა და უცბად გახდა არათუ მოდური, არამედ სატრაბახო ჩასაცმელიც, თანაც ისეთი, შოვნისთანავე რომ აღუძრავდა პატრონს სურვილს, მიუხედავად ამინდისა, თავმოწონებით ჩაეცვა. და იყო ცხელ სექტემბერში „ბოლონია“ „პლაშებით“ თავმომწონეთა „გამოფენა“ რუსთაველის პროსპექტზე.

დღეს „პლაშები“ „ჯიპებმა“ ჩაანაცვლა – უმეტესად ავაზაკური გზით ნაშოვნმა. დავუმატოთ მას „ბლატნოი“ ნომრები, ანუ სახელი „ჯიპის“ პატრონისა და მივიღებთ გამორჩეულ სოციალურ ფენას, რომელსაც სახელმწიფო არ „ჩაგრავს“ ან ვერ „ჩაგრავს“,მაშინაც კი, როდესაც მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით მიქრის. დიდი, დიდი პატრულმა თვალი გააყოლოს. ამის შემხედვარე ახალგაზრდა რას იზამს? უპირველესად, შეეცდება ნებისმიერი გზით „ჯიპის“ ყიდვას და მასთან ერთად „ბლატნოი“ ნომრის. რით არის ის ნაკლები პარლამენტარ ეკა ბესელიაზე, რომლის „ჯიპს“ პატრონის სახელი ამშვენებს?!

მე და ჩემი მეგობარი ქ.ანკარაში, მთავარ ქუჩაზე მავალ ტრანსპორტში „ჯიპებს“ ვითვლიდით. ერთი საათის განმავლობაში სულ ექვსი დავთვალეთ. და ეს თითქმის 80-მილიონიანი თურქეთის დედაქალაქში. აფსუს, თბილისი, მილიონნახევრიანი ქალაქი, სადაც წუთში 10 „ჯიპს“ და მეტს დათვლი.

ახალმა ცხოვრებამ იოლი გზით ნაშოვნი ფულის შესაძლებლობა გააჩინა, რამაც თავისთავად ხელი შეუწყო საზოგადოებაში არსებული მეტიჩრობის, „პაკაზუხობის“ წინა პლანზე წამოწევას. და დავდივართ ასე „ჯიპებით“ და მზად ვართ, უმოწყალოდ გადავუაროთ სადღაც, ჩვენს საბურავებთან მოგორავე „სედანს“. ასეთმა, საბურავიც რომ „დაგაბიჯოს“, სიგნალსაც ვერ შებედავ. თუ შებედე, ისეთი გაბმულით გიპასუხებს, თავ-ბედს გაწყევლინებს.

სიგნალებით გინება ხომ ისეთივე უნიკალურია, როგორც ჩვენი ცხოვრება. ჩაგიქროლებს ავტომანქანა, არ მოგეწონება და სიგნალს მიაყოლებ. ისიც ვალში არ დაგრჩება და ისეთი სიგნალით გიპასუხებს, შენი მოწონებული. განსაკუთრებული „თავაზიანობით“ ქალები გამოირჩევიან, თანაც ისეთით, ვერც ერთ სხვა ქვეყანაში რომ ვერ შეხვდებით. აქ მარტო სიგნალს არ ჯერდებიან. მას ხმამაღალი „დედის ტრ..იც“ ახლავს თან. უნახავმა რა ნახაო – ისეა ჩვენი საქმე.

ახლა ვნახოთ, რა ვითარებაა თითქმის ჩვენს მეზობელ ირანში. 15-მილიონიანი თეირანი სავსეა ავტომანქანებით. ძირითადად, ადგილობრივი წარმოების. თეირანისა და სხვა ქალაქების მაღაზიების ვიტრინებში თავს იწონებენ იაპონური, ამერიკული, ევროპული ავტომანქანების უახლესი მოდელები, მაგრამ ქალაქებში ადგილობრივი წარმოების ავტომანქანების სიჭარბეა.

ფული არ აქვთო, ვერ იტყვი. როდესაც მინიმალური პენსიის რაოდენობა 450 დოლარის ეკვივალენტია და ის დამსახურების მიხედვით იზრდება, ზოგ შემთხვევაში, სამხედრო გენერლებთან მიმართებაში, 8000 დოლარამდე. ირანის მაღაზიების ვიტრინებში თვალს მოგჭრით მსოფლიოს ცნობილი კუტურიეების ნახელავი კოსტიუმები, ფეხსაცმელები, ჰალსტუხები, „ბაბოჩკები“, პერანგები, მაგრამ ქუჩაში ამას ვერ შეხვდებით. ხალხი შემოსილია სუფთა, თავშეკავებული სამოსით, ყოველგვარი გამოწვევის გარეშე. მაშ რაშია საქმე, სად არის „პაკაზუხობა“?

ირანის საზოგადოების უდიდეს უმრავლესობას ასეთი ავადმყოფობა არ სჭირს. ნებისმიერი ირანელი ცდილობს იყოს ისეთი, როგორიც საზოგადოებაა. მას არ სურს, იყოს ამოვარდნილი თეთრი ყვავივით. ყველაფერ ამას ხელისუფლება, რელიგია არეგულირებს.

ირანი ის სახელმწიფოა, სადაც რელიგია და ხელისუფლება ერთმანეთზეა გადაჭდობილი, ერთმანეთით სულდგმულობს. სულ ახლახან ირანელმა ყმაწვილებმა ახალთახალი სპორტული „პორშეები“ შეიძინეს და ღამღამობით თეირანის ფართო ქუჩებში რბოლებს აწყობდნენ. ქვეყნის მეთაურის აიათოლა ხამენეის განკარგულებით, მათ მანქანები ჩამოერთვათ – მძინარე თეირანელთათვის დისკომფორტის თავიდან აშორების მოტივით, მაგრამ მეთაურის მოქმედებაში მთავარი იყო ის, რომ დაცული ყო საზოგადოების თანაფარდობის პრინციპი.

ირანში მილიონერ-მილიარდერს ვინ მოთვლის. მათი რაოდენობა ცოტათი თუ ჩამოუვარდება საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას. იქ, არც სიმდიდრე იკრძალება და არც ბიზნესი, მაგრამ სახელმწიფო შეგონება ისეთია, მილიარდერს რომ ჩვეულებრივი ირანელისგან ვერ გამოარჩევ. და რახან ასეა, არც ფართო მასებს აქვთ სიძულვილი მდიდარი ადამიანების მიმართ. ირანელ მდიდართა საქველმოქმედო საქმეთა ჩამოთვლა ხომ შორს წაგვიყვანს.

დიახ! საქართველოში არ უყვართ მდიდრები. არც სხვაგან უყვართ, მაგრამ ჩვენთან განსაკუთრებით და ამის ობიექტური საფუძველიც არსებობს – ისედაც მშიერი მოსახლეობის მონური ექსპლუატაცია და ღლეტა. დაუსაქმებელი მუშახელის ქვეყანაში, ბიზნესმენი რომ კაპიკად დაგასაქმებს და არანორმირებული სამუშაო საათებით მონურ პირობებს შემოგთავაზებს, წესადაა ქცეული. არ გინდა და წადი. შენი შემცვლელი „შავი“ მუშა უცბათ მოიძებნება. ვინ არის პატივაყრილი მუშა-მოსამსახურის დამცველი? არც არავინ! პროფკავშირები სასაცილო დონეზეა.

სახელმწიფო? იგი განზეა ყოველივე აღნიშნულისგან. კანონმდებლობაც ისეთია, დამსაქმებელი დასაქმებულს რომ ყოველმხრივ იხმარს – დაუნდობლად, გამეტებით. უდავოდ იბადება კითხვა – სადამდე შეიძლება გაგრძელდეს მდიდართა ანცობა? უსასრულოდ, ვიდრე ყველა ერთად არ დავიქცევით.

ე. წ. მდიდრებმა იოლად გაიკვალეს გზა ხელისუფლებაში მყოფი მაღალ-დაბალი მოხელეებისკენ და ისეთ საქმეებს აკვარახჭინებენ, საბჭოთა პერიოდის „არტელშიკებს“ მიუქარავთ. თვალი შეავლეთ ვარაზის ხევში აშენებულ რესტორანს, სპორტის სასახლის წინა მოედანზე წამოჭიმულ უამრავ ნაგებობას, თბილისის ცენტრში გაჩეხილ ხეებს და შიგ ჩადგმულ საცხოვრებელ სახლებს. რომელი ერთი ჩამოვთვალო? ამის შემხედვარემ, გულახდილად მითხარით, რა ჰქვია ამას? სად არის ხელისუფლება ან მერია? სად არის საზოგადოება? რატომ ვდუმვართ? რატომ ვხუჭავთ თვალებს? განა დამნაშავე არ არის მთავრობის მოხელე, რომელმაც ტროტუარზე მშენებლობის ნებართვა გასცა? მაგრამ გაცილებით დიდი დამნაშავე ის ბიზნესმენია, ვინც ასეთ ადგილას შენობის ჩადგმა გადაწყვიტა.

აი, თავის დროზე კომუნისტებს რომ მართლაც მაგრად „დაეჩაგრათ“ „არტელშიკი“, მისი შთამომავალი შეურაცხყოფას აღარ მოგვაყენებდა. შეურაცხყოფა მარტო ცოცხის გარჭობა არ არის. შეურაცხყოფაა, როდესაც შენს საკუთარ სახლს თბილისს თავზე დაადგამ, ვაკის პარკში ორ საელჩოს შორის საკუთარ სახლს წამოჭიმავ, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობას ოფისად გაიხდი და ა.შ.

დღევანდელი ქართული ბიზნესი ისეა დაშორებული სიწმინდისგან, როგორც დედამიწა მარსიდან. ეს ის ბიზნესია, პატარა კონტეინერით, შემწვარ კარტოფილს თითქმის 2 ლარად რომ ჰყიდის (სუპერმარკეტი „გუდვილი“), სხვა კერძებზე რომ არაფერი ვთქვათ. ეს ის ბიზნესია, რომელიც, თუ კარგად არ შეამოწმე, დაობებულ ლავაშს შემოგთავაზებს. ეს ის ბიზნესია, ვადაგასულ წამალს რომ შემოგტენის. ეს ის ბიზნესია, ბენზინს რომ ევროპულ ფასებზე მეტ ფასად მოგყიდის. ეს ის ბიზნესია, ივნისში ალუჩას რომ 8 ლარად გთავაზობს, ვაშლატამასაც იგივე ფასად, ერთ კონა ტარხუნას – 50 თეთრად.

**ეს ის ბიზნესია, რომელსაც წილში ჩამდგარი ხელისუფლება თავგამოდებით იცავს. იცავს თავისი პატრულით, პოლიციით. იტყვით რამეს უკმაყოფილოს და ჯან-ღონით სავსე პოლიციელი, როგორც არარაობას, ჭიაღუას ისე შემოგხედავს. არ არის ქართული ბიზნესი, ქართველი ბიზნესმენი, თუნდაც ისეთი გულისხმიერი საზოგადო საქმისთვის, როგორც რუსი მილიარდერები, უსმანოვის, პოტანინის, სხვათა მსგავსნი. მათი ქველმოქმედება და საკუთარი ხალხისადმი პატივისცემა ცნობილია არა რუსეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ქართული ბიზნესი ვერაფრით გაუტოლდება რუსულს ვერც შემოსავლებით და ვერც ქველმოქმედებით. ეს ის ბიზნესია, რომელიც ხალხის ყვლეფით სულდგმულობს და რა გასაკვირია, რომ ის ხალხს ძულდეს.**

დღევანდელი ბავშვის, ხვალინდელი ხალხის და ქვეყნის უმთავრესი ჩამორჩენილობა სწორედ უკუღმართ აღზრდაშია. აღუზრდელი, გაუნათლებელი თაობა ვერ შექმნის ისეთ ქვეყანას, სადაც ცოტა რამ მაინც იქნება სულიერი. რასაც შექმნის (შექმნა კიდეც) ფულის ტრფიალია. და ამ პროცესში პატიოსნების ნაცვლად თაღლითობა და ქურდობა ზეიმს.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

# გადარჩენილი მხარე: თურმე, მიქოიანმა გმირულად ჩაფუშა სტალინის ანტირუსულ-ოსური ავი ზრახვები

არ ვიცი, რჩევისამებრ ხელახლა ჩავიდა თუ არა სიმონ ტაკოევი სტალინთან (ალბათ, არა, რადგან აშკარა იყო, რომ საქმეს აღარაფერი ეშველებოდა), ის კი ნაღდია, რომ ორი ოსეთის გაერთიანების საკითხი დიდი ხნით — 1990-იან წლებამდე მოიხსნა დღის წესრიგიდან, ოღონდ, გაერთიანების მოთხოვნას უკვე სხვა სარჩელი დაედო. ოსეთიდან ცენტრში (მოსკოვში) გაგზავნილი წერილები, რომელთა ავტორები ყალბ ბრალდებას უყენებდნენ ქართველ ხალხს, ულვთოდ ამახინჯებდნენ ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიას, ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ინსტანციები, რომ სამხრეთელი ოსები იმყოფებოდნენ „აუტანელ მდგომარეობაში, რომელიც მათ ქართველმა ხალხმა შეუქმნა და მოითხოვდნენ სამხრეთი და ჩრდილოეთი ოსეთის ავტონომიების გაერთიანებას რუსეთის სფს რესპუბლიკაში.

1960-იან წლებში ოსი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა აშკარა ანტიქართული კამპანია გააჩაღა, მოსკოვში საშინელი წერილები იგზავნებოდა. 1983 წ.10 მაისს კი სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის ი.ანდროპოვის სახელზე გაიგზავნა საჩივარი, რომელიც შეიცავდა გაუკუღმართებულ, ტენდენციურ, პრიმიტიულად შედგენილ ისტორიულ ნაწილს. ავტორები ზოოლოგიურ სიძულვილს ამჟღავნებდნენ ქართველი ხალხის მიმართ, ყოველივე იმის მიმართ, რაც წმიდათაწმიდაა ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობაში. ამრიგად, „ორი ოსეთის“ რსფსრ-ს შემადგენლობაში გაერთიანების საკითხი გარკვეულმა ძალებმა 1983 წელს (იქნებ ადრეც) კვლავ დააყენეს მოსკოვის წინაშე.

საქართველოზე შემოტევა განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, რაც სეპარატისტებმა, რუსეთის დაუფარავი ხელშეწყობით, საქართველოს იურისდიქციიდან დროებით გასვლა და დე ფაქტო „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ შექმნა შეძლეს, 2008 წელს კი რუსეთმა „დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ ცნო და მასთან სხვადასხვა სახელმწიფოებრივი დონის ხელშეკრულებები დადო.

ახლა კვლავ „იზვესტია რუს“ მივყვეთ.

მოყვანილი მიმოწერიდან მართლაც შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ სანამ მიქოიანი ტელეგრამას გაუგზავნიდა, გენერალურ მდივანსა და ორჯონიკიძეს შორის გაერთიანებული ოსეთის საქართველოსთვის გადაცემას გეგმა ფართოდ განიხილებოდაყ სტატიის ავტორი სვამს რიტორიკულ კითხვას: — და მაინც რატომ ჩავარდა ეს გეგმა?!

ამრიგად უმერენკოვი, რომელმაც არ იცის (ან იცის, მაგრამ თვალს ხუჭავს) ის პერიპეტიები, რომელთა შესახებაც ზემოთ ვილაპარაკეთ და მხოლოდ მის მიერ წარმოდგენილი მიმოწერის საფუძველზე აკეთებს ყალბ დასკვნებს, დარწმუნებულია, რომ სტალინმა და ორჯონიკიძემ წინასწარ დაგეგმეს ჩრდილოეთი ოსეთის საქართველოსთვის გადაცემა.

როგორც მკითხველი დარწმუნდა, ეს ასე არ იყო. ინიციატივა სწორედ ჩრდილოეთი ოსეთიდან მოდიოდა. რა თქმა უნდა, არა „საქართველოს სიყვარულის“ გამო, არამედ იმიტომ, რომ ეს იყო ერთადერთი გზა, რომლითაც სამხრეთი ოსეთის შეერთება შეიძლებოდა.

მათ კარგად იცოდნენ, რომ სხვაგვარად საქართველო არამც და არამც არ დათანხმდებოდა თავისი ტერიტორიის (ცხინვალის რეგიონის, რომელიც პირდაპირ მოძალადურად გარდაიქმნა სამხრეთი ოსეთის ავტონომიურ ოლქად) რსფსრ-სთვის გადაცემას.



XX საუკუნის დასაწყისის ცხინვალი.

შემდეგ მოდის საერთოდ რუსი ჟურნალისტებისთვის დამახასიათებელი „წიაღსვლები“: ჩემთან იყვნენ ტაკოევი და სხვა ოსებიო, სწერს სტალინი მიქოიანს, თითქოს ისინი ეხვეწებოდნენ დათანხმებულიყო ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთის გაერთიანებაზე საქართველოს შემადგენლობაში... შემდეგ კი გამოჩნდა ჩრდილოეთი კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილება, სადაც ოსეთის გაერთიანების პირობად დაყენებული იყო მისი შესვლა რსფსრ-ს შემადგენლობაში და ორჯონიკიძე გაღიზიანებულია, **„უფრო უმაქნისი და განუხორციელებადი გადაწყვეტილების მოფიქრება ძნელიაო**. ამის შემდეგ გაერთიანების იდეის გეგმა „მაუდქვეშ“ ამოდესო“...

**ოსები „თითქოს“ კი არა, ნამდვილად ეხვეწებოდნენ, თანაც ყელგამოწვდილნი, საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანებაზე თანხმობას,** მკითხველი უკვე დარწმუნდა ამაში დოკუმენტებით, ახლა მეორე.

ორჯონიკიძეს ჩემგან „პირის მოწმენდა“ ვერას არგებს, იმდენი ცოდვა აქვს ჩადენილი თავისი სამშობლოს და ხალხის წინაშე, მაგრამ ის, რომ ამჯერად სწორად იყო „გაღიზიანებული“, ვერ დამალავ. ან რატომ არ უნდა გაღიზიანებულიყო? ჯერ ქართული მხარის უკითხავად წამოიჭრა ჩრდილოეთ ოსეთთან ცხინვალის რეგიონის (ხელოვნური სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის) გაერთიანების საკითხი საქართველოს შემადგენლობაში შესვლით. საქართველო დიდი მსჯელობისა და ორჭოფობის შემდეგ დათანხმდა, მერე, როცა სტალინმა, ვითარების ანალიზისა და შეჯერების შემდეგ, უარყო ეს გეგმა და ჩრდილოეთი კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიიღო სრულიად საწინააღმდეგო გადაწყვეტილება — ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქების ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნა მისი რსფსრ-ს შემადგენლობაში შეყვანით, ბუნებრივია, ორჯონიკიძე ამას „ყოვლად უვარგისსა და განუხორციელებელს“ დაარქმევდა! **საერთოდ კი ვინ კითხავდა ან მიქოიანს ან მის ჩრდილოეთი კავკასიის სამხარეო კომიტეტს, გადაეწყვიტა საქართველოსთვის ორგანული ნაწილის ჩამოჭრა და რუსეთისთვის გადაცემა?**

აქ საინტერესოა სერგო მიქოიანის კომენტარი: **„ვფიქრობ, სტალინს მაინც ჰქონდა შემორჩენილი ქართული ნაციონალიზმი, თუმცა, თვითონ თავს ყოველნაირად რუსად წარმოაჩენდა, გულში ის, რა თქმა უნდა, თვლიდა, რომ კავკასიის ყველა რესპუბლიკას შორის საქართველო ტერიტორიით ყველაზე მსხვილი უნდა ყოფილიყო, რაც მან გააკეთა კიდეც“.**

სტალინის „ქართულ ნაციონალიზმზე“ რა მოგახსენოთ, აი, მის მიერ **„კავკასიაში ტერიტორიულად ყველაზე მსხვილ რესპუბლიკად საქართველოს გადაქცევა კი მთლიანად სერგო ანასტასიევიჩის სინდისზე იყოს. მის „უწყინარ“ შენიშვნაში დასახელებული არ არის საქართველოსთვის „სტალინის მიერ შემატებული“ ტერიტორიები, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი, ალბათ, გულისხმობს აფხაზეთს, „სამხრეთ ოსეთს“, სამცხე-ჯავახეთს, აჭარას**.

ეს სწორედ ის შემთხვევაა, რომ იტყვიან, „ემაგ პირით პური როგორ უნდა ჭამოო“, მაგრამ მოულოდნელი არ არის: ბატონი სერგო მიქოიანი ზუსტად ისე მსჯელობს, როგორც ორგანიზაცია „ჯავახქის“ ვინმე უბირი წევრი.

ალბათ, სწორედ სამართიანობის აღდგენას და „საქართველოს მცირე იმპერიისთვის“ (აკად. ა. სახაროვი) ამ „არმად შემატებულის“ ჩამოჭრას ითვალისწინებდა ტერიტორიის 20 პროცენტის წართმევით XXI საუკუნის რუსეთი.

სერგო მიქოიანის ეს გამოხდომა იმდენად თვალში საცემი და გულისამრევია, რომ სტატიის ავტორი უმერენკოვი იძულებულია აღიაროს: **„მაგრამ კავკასიის ეთნოპოლიტიკური ისტორიის ექსპერტები ეჭვობენ, თითქოს ქართველებს სტალინსა და ორჯონიკიძეს სურდათ თავისი „მცირე სამშობლოსათვის“ ტერიტორიული „საჩუქარი“ მიერთმიათ, ხოლო სომეხი მიქოიანი ამის წინააღმდეგი იყო. უფრო სავარაუდოა, რომ ოსებისთვის იმ დროს უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო ავტონომიების გაერთიანება, ვიდრე ის, თუ რომელ რესპუბლიკაში შევიდოდნენ“.**

დიახ, ასე გახლდათ! ჰოდა, ჟურნალისტ ევგენი უმერენკოვის მთელი ეს დოკუმენტური იწილო-ბიწილო და ისტორიკოს სერგი მიქოიანის ქართველთმოძულეობითი წიაღსვლები სულ ამაო და ფუჭი იყო, მაგრამ მათ თავისი საქმე გააკეთეს: რუს (და ოს) მკითხველს კიდევ ერთი სატყუარა გადაუგდეს არასწორი და არაჯანსაღი განსჯისთვის (კავკასიის ეთნოპოლიტიკური ისტორიის ექსპერტთა მართებული დასკვნა ისეა მიჩქმალული, ისე სხვათა შორის არის ჩართული, რომ ბევრმა შეიძლება ვერც გაუსვას ხაზი).

9 წლის წინანდელი ეს სტატია ტიპური და გამორჩეულია იმ „დოკუმენტური მასალებით“ გაჯერებულ პუბლიკაციათა შორის, რომლებიც უხვად იბეჭდებოდა და იბეჭდება და ხელს უწყობდა (და უწყობს) საქართველოს მიმართ უსამართლობის ხანძრის აგიზგიზებას. ამიტომაც გავიხსენე იგი ასე ვრცლად.

**ალეკო ასლანიშვილი**

დასასრული. დასაწყისი იხ. № 108-109

## იცით თუ არა, რომ...

- ამიერკავკასიაში ფსიქოლოგიის მეცნიერებათა პირველი დოქტორი ქალთა შორის ფატი ხუნდაძე იყო. სადოქტორო დისერტაცია მან 40 წლის ასაკში, 1935 წელს დაიცვა.
- აჰმედ მელაშვილს თურქეთის გურჯთა ილია ჭავჭავაძეს ეძახდნენ.
- სტამბოლში, ფერიქოიუბანში კათოლიკური მონასტერი დგას. მონასტერი ღვთისმშობლის სახელობისაა და მისი დამფუძნებელია ახალციხეში დაბადებული კათოლიკე მღვდელი პეტრე ხარისჭირაშვილი.
- ევგენი ხარაძის სახელს უკავშირდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დაარსება.
- ზაქარია ჭიჭინაძე აჭარის მუსლიმ მოსახლეობას არაბულ ლოცვებს ქართულად უბეჭდავდა. ამას იმისთვის აკეთებდა, რომ ქართველებს თავიანთი ენა და ეროვნება არ დავიწყებოდათ.
- აკაკი ჭანტურია იყო პირველი ქართველი, რომელმაც მსოფლიოს გარშემო იმოგზაურა.
- 1882 წლის 23 აგვისტოს გრიგოლ ორბელიანი ანასტასია ჩერქეზიშვილს სწერდა: „კნეინა ეკატერინა მენგრელიისა გარდაიცვალა გორდას 13 აგვისტოს. ჩემო ტასო, ბნელდება საქართველო!“
- 1277 წელს ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ ბრძოლაში, მონღოლთა ყაენის ლაშქარში დემეტრე თავდადებულის მეთაურობით მებრძოლი 3 000 ქართველიდან ოთხიოდე გადაურჩა სიკვდილს.



- მეფე დემეტრე თავდადებულს სამი ცოლი და ცხრა შვილი ჰყავდა: ტრაპიზონის კეისრის ასული, რომლისგანაც ხუთი შვილი შეეძინა, მონღოლი ქალი, რომელმაც სამი შვილი გაუჩინა და ბექა ჯაყელის ასული ნათელა — გიორგი ბრწყინვალის დედა.
- იცით თუ არა, რომ მეფე დემეტრე თავდადებულს ჩვევად ჰქონდა — ღამღამობით სასახლიდან ჩუმად გადიოდა ფულიანი ქისებით და ხალხში მოწყალებას არიგებდა.
- დემეტრე თავდადებულის ერთადერთი პორტრეტი დავით გარეჯის მონასტერშია დაცული.
- შემონახულია ცნობა, რომ ეკატერინე ჭავჭავაძეს დავით დადიანთან ჯვრისწერისას ქაშვეთის ეკლესიაში გული წაუვიდა.
- „საქართველოს პირველი კაცი“ — ასე უწოდებდნენ თანამედროვენი ალექსანდრე ჭავჭავაძეს.
- ილია ჭავჭავაძე ოლღა გურამიშვილს სიყვარულით „კუკლუშკის“ ეძახდა.

წყარო: „tatatatuli.wordpress.com“

◉ შეუსაბამო ფასები

# რატომ გაძვირდა ინტერნეტის საფასური საქართველოში?

**„სრულიად თვითნებურად გამიძვირა ინტერნეტი და ტელევიზია „კავკასუსმა", იძულებული გავხდი ტელევიზიის პაკეტი შემემცირებინა; „სილქნეტმა" მომსახურების გადასახადი გააძვირა და ჩემგან დამოუკიდებლად და დაუკითხავად, რატომღაც ჩათვალეს, რომ გაძვირებულ პაკეტზე გადავეყვანე. კარგი იქნებოდა ჩემთვის ეკითხათ, იქნებ საერთოდ ვაუქმებდი ინტერნეტს",** — ასე აფასებენ მომხმარებლები „კავკასუს ონლაინისა" და „სილქნეტის" მხრიდან ინტერნეტ პაკეტებზე ფასების ზრდას.

„კავკასუს ონლაინის" მომხმარებლის ლალი აბაშიძის აზრით, კომპანია ფასების ზრდასთან დაკავშირებით თვითნებურად იქცევა, რაც მასშიც და სხვა მომხმარებლებშიც პროტესტს იწვევს. **„რამდენიმე თვის წინათ, კომპანია „კავკასუს ონლაინმა" ხარისხის გაუმჯობესების მოტივით, თვითნებურად გაგვიძვირა ტელევიზიისა და ინტერნეტის ერთობლივი პაკეტის ღირებულება. ჩემთვის არავის უკითხავს, მინდოდა თუ არა უკეთესი სიჩქარის ინტერნეტი და ისიც საკითხავია, რეალურად, მართლა გაუმჯობესდა თუ არა მომსახურების ხარისხი. ცოტა ხნის წინათ კი კომპანიამ პაკეტის ღირებულება ისევ გააძვირა, ამჯერად, ლარის გაუფასურების გამო. იძულებული გავხდით ხარჯები შეგვემცირებინა. უცხოური არხები გავთიშეთ და მხოლოდ ქართული არხები დავტოვეთ",** — გვითხრა ლალი აბაშიძემ.

**„საქართველოში არსებული ფასები რეგიონის უმეტესი ქვეყნის ფასებთან შედარებით მაღალია"**



**ბოლო სამი თვის განმავლობაში „კავკასუსმა" და „სილქნეტმა" ფასები რამდენჯერმე გაზარდეს. ამჟამად არსებული ტარიფებით, ოპტიკური ინტერნეტი „კავკასუსში" ღირს: 10 მბ/წმ — თვეში 27 ლარი, 30 მბ/წმ — 37 ლარი, 50 მბ/წმ — 50 ლარი, 100 მბ/წმ — 100 ლარი, ხოლო „სილქნეტში": 10 მბ/წმ — 26 ლარი, 35 მბ/წმ — 40 ლარი, 50 მბ/წმ — 50 ლარი და 100 მბ/წმ — 100 ლარი.**

კომპანია „სილქნეტში" არსებულ ფასებს ადეკვატურს უწოდებენ და მატებას ასე ხსნიან: **„2-3 წლის წინათ, თუ ყველაზე მოთხოვნადი სიჩქარე 1 მგბ იყო, დღეს მომხმარებელი ითხოვს 20 მბ/წმ. მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნა რათა დააკმაყოფილონ, ოპერატორები, რომელთაც „შემოაქვთ" ინტერნეტი, ხარჯებს ზრდიან, რათა მეტი რესურსი და სიმძლავრე შეიძინონ, ახორციელებენ ინვესტიციებს დაკაბელების და ქსელში გადანაწილების კუთხით. ამიტომაც 2015 წელი პროვაიდერებმა ფასის კორექტირებით დაიწყეს, რაც, ერთი მხრივ, ლარის დევალვაციითაც იყო გამოწვეული, რადგან ინვესტიციები და საოპერაციო ხარჯები, სწორედ რომ უცხოურ ვალუტაში აქვთ განსაზღვრული კომპანიებს. რეგიონის ქვეყნებს შორის საქართველოში ინტერნეტის ფასი არც მაღალია და არც დაბალი. იმ ხარჯების ადეკვატურია, რაც პროვაიდერებს აქვთ. თანაც, ფიქსირებული ქსელის მომხმარებელი ითხოვს ინტერნეტით შეუზღუდავად სარგებლობას 24 საათის განმავლობაში".**

რაც შეეხება მოქალაქეების განცხადებას, რომ ისინი ფასების ზრდის გამო იძულებულები არიან ტელევიზია გათიშონ, ამასთან დაკავშირებით კომპანიაში აღნიშნავენ, რომ „სილქნეტის" პაკეტები იძლევა ოჯახის ბიუჯეტზე მორგებული სატარიფო სქემის, პაკეტის შეცვლის, მისაღებ სიჩქარეზე გადასვლის არჩევანის საშუალებას.

კომპანია „კავკასუს ონლაინში" ფასების ზრდის მიზეზად საერთაშორისო ბაზარზე და საქართველოში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობას ასახელებენ. **„კავკასუს ონლაინის" სატელეკომუნიკაციო მომსახურების ახალი ტარიფები 23 მარტიდან შევიდა ძალაში, ხოლო არსებულ მომხმარებლებს პაკეტები მომავალი ერთი თვის განმავლობაში შეეცვლებათ ახალი სატარიფო სისტემის მიხედვით, ამის შესახებ თითოეულ მათგანს ინდივიდუალური შეტყობინება უკვე გაეგზავნა. საერთაშორისო ბაზარზე და საქართველოში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის გამო, აუცილებელი გახდა მცირედ დაგვეკორექტირებინა ტარიფები, თუმცა, შექმნილ ვითარებაში მაქსიმალურად შევეცადეთ, ფასების ცვლილება რაც შეიძლება ნაკლებად მტკივნეული ყოფილიყო მომხმარებლისთვის",** — აცხადებენ კომპანიაში.

**„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციაში" მიიჩნევენ, რომ ამ ორი კომპანიის მხრიდან დაწესებული ინტერნეტ-ფასები მაღალია, ხოლო ფასების ზრდასთან დაკავშირებით კომპანიების განცხადებები ბუნდოვანია, რადგან ორივეს მოგება გაიზარდა. „ბოლო 1 წლის განმავლობაში ამ ორმა პროვაიდერმა ფასები ერთმანეთის მიყოლებით გაზარდა. პირველ ეტაპზე ფასების ზრდის დროს, ორივე კომპანიამ ფასების ზრდის მიზეზად დაასახელა მომხმარებლის სურვილი ინტერნეტის სიჩქარის ზრდასთან დაკავშირებით, რამაც შესაბამისად გამოიწვია ფასების ზრდა. თუ კომპანია რეალურად მომხმარებლის ინტერესიდან გამოდიოდა, მაშინ მათ უნდა გაეთვალისწინებინათ მომხმარებლის მოთხოვნა, რომელიც ფასების ზრდასთან ერთად გაჩნდა და უნდა მიეცათ საშუალება მოქალაქეებისთვის, რომ არსებული ტარიფით და დაბალი სიჩქარით ესარგებლათ. ეს ორი კომპანია ფასების ზრდის მიზეზად საერთაშორისო ბაზარზე არსებულ და საქართველოში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობას ასახელებს. ეს არის საკმაოდ ბუნდოვანი განცხადება, რადგან „კავკასუს ონლაინს" 2014 წელს 2013 წელთან შედარებით შესყიდულ ინტერნეტზე ხარჯები შეუმცირდა 5 მილიონი ლარით. „სილქნეტის" ხარჯებს რაც შეეხება, მან იყიდა უფრო მეტი ინტერნეტი 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, თუმცა, ბოლო 6 თვის მონაცემებით, მიიღო 605 000 ლარით მეტი შემოსავალი, ვიდრე 2013 წელს მთლიანად",** — აღნიშნა გიორგი კაპანაძემ.

მისივე თქმით, საქართველოში არსებული ფასები რეგიონის უმეტესი ქვეყნის ფასებთან შედარებით მაღალია: **„ყველაზე მცირე — 10მგ/წ ინტერნეტი „კავკასუსში" ღირს 27 ლარი, „სილქნეტში" — 26 ლარი, უკრაინაში კი მისი ფასია 7 ლარი, ბელორუსში — 25 ლარი. 30მგ/წ 37 ლარი ღირს კავკასუსში, სილქნეტში 35 მგ.წ ღირს 40 ლარი. ბულგარეთში მისი ფასია 10 ლარი, ჩეხეთში — 28 ლარი. 100 მგ/წ უკრაინაში ღირს 14 ლარი, ლატვიაში — 33 ლარი, რუმინეთში — 18 ლარი, ფასებით შედარებით ახლოს არის სერბეთი, სადაც 90 ლარი და ყაზახეთი, სადაც 60 ლარი ღირს. საქართველოში კი მისი ფასი 100 ლარს შეადგენს",** — აღნიშნავენ აფბა-ში.

**ინტერნეტ-ფასებმა მოიმატა სხვა შედარებით პატარა კომპანიების მომხმარებლებისთვისაც, თუმცა, მათ განმარტებებისგან თავი შეიკავეს.**

**ლექსო ნაზახტეველი**

◉ ინვესტიცია



# ახალი ტექნოლოგიური პარკის პირველი მერცხალი

**ამ ცოტა ხნის წინათ, ერთ-ერთ პუბლიკაციაში, საქართველოში კრიპტოვალუტის — ბიტკოინის თანდათანობით დამკვიდრებაზე, გორში ეგრეთ წოდებულ „დატა ცენტრის" ამოქმედებაზე გვქონდა ლაპარაკი. ახლა კი საქმე კრიპტოვალუტის მეორე ცენტრის აშენებას ეხება.**

2015 წლის 15 მაისს საქართველოს მთავრობის დადგენილებით, კრიპტოვალუტა ბიტკოინის საინვესტიციო კომპანია „Bitfury Group"-ს თბილისში, გლდანის რაიონში, 18,5 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, სიმბოლურ ფასად — ერთ ლარად გადაეცა, სადაც ტექნოლოგიურ მონაცემთა ცენტრი აიგება. კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულების თანახმად, **„დატა ცენტრი" 8 თვეში უნდა აშენდეს, სათანადო ტექნოლოგიური ხაზებით აღიჭურვოს და ამოქმედდეს, რისთვისაც არანაკლებ 11,1 მილიონი დოლარის ეკვივალენტი ლარის სახსრები დაიხარჯება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო ღირებულების 10 პროცენტი გამოუხმობი საბანკო გარანტიის სახით იქნება წარმოდგენილი, ხოლო ცენტრის ამოქმედების შემდეგ იქ, სულ მცირე, 20 კაცი დასაქმდება.**

ეს რაც შეეხება დადებული შეთანხმების პირობას, მაგრამ მეტად სასიხარულოა ის გარემოება, რომ ამ დღეებში დაწყებული საპროცესინგო „დატა ცენტრის" მშენებლობა არა წინასწარ დათქმულ 8, არამედ, სავარაუდოდ, 4-5 თვეში დასრულდება. ამის შესახებ კომპანია „Bitfury Group"-ის საქართველოში წარმომადგენელმა, საკონსტიტუციო კომპანია „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორების" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **ეფრემ ურუმაშვილმა** განაცხადა. მან ისიც თქვა, რომ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით იქნება შესრულდება პირობა აღნიშნულ პროექტში 11,1 მილიონი დოლარის ლარით ეკვივალენტი თანხის ინვესტირების თაობაზე.

კომპანია „Bitfury Group"-ს სადღეისოდ ორი ცენტრი აქვს — ერთი საქართველოში, მეორე ისლანდიაში. ამდენად, თბილისში კიდევ ერთი დიდი საპროცესინგო „დატა ცენტრის" მშენებლობა ტექნოლოგიურ ზონას გააფართოებს, რაც ამ ბაზარზე მსოფლიოს მოთამაშეების გაერთიანებას შეუწყობს ხელს. თანაც მეტად მნიშვნელოვანია, რომ კომპანიას ჩვენში მაღალტექნოლოგიური ბიზნესის წარმოების გამოცდილება უკვე აქვს — გორში ბიტკოინის „დატა ცენტრი" საქართველოს თანაინვესტირების ფონდთან ერთობლივად აიგო და წარმატებითაც ფუნქციონირებს. თბილისში მეორე „დატა ცენტრის" მშენებლობის გადაწყვეტილების საფუძველიც სწორედ ეს გარემოება გახდა. ამ ნაბიჯის კიდევ ერთი სიკეთე ისაა, რომ ქვეყანაში მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი თანამედროვე საწარმოების ამოქმედების სამომავლოდ უაღრესად მნიშვნელოვანი გამოცდილება გროვდება.

აღსანიშნავია, რომ კომპანია „Bitfury Group"-ის ახალი პროექტის ფარგლებში გლდანის „დატა ცენტრი" ტექნოლოგიური პარკის პირველი მოიჯარე კომპანიაა და ეს მესამე თაობის ტექნოლოგიებით აღჭურვილი ცენტრი იქნება, რომელშიც, კომპიუტერული უზრუნველყოფის წყალობით, დიდძალი ენერგია დაიზოგება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში კრიპტოვალუტა ბიტკოინის კიდევ ერთი დიდი „დატა ცენტრის" აგების პროექტს მსოფლიოს ავტორიტეტული ფინანსური გამოცემები ეხმარებიან. „ბიზნეს უაირი" „იაჰუ ფაინენი", სხვები აღნიშნავენ, რომ საქართველოში ტექნოლოგიური ბიზნესის გაფართოება ამჟამად უკვე მიღწეული წარმატებების პირობებში მიმდინარეობს. ამის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი გარემოებები კი ქვეყანაში არსებული ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო, ელექტროენერგიის დაბალი ფასი და კონკურენტიანი შრომის ბაზარია.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ ალიან-ჩალიანი

# ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის თარიღმა გადაიწია

**ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის თარიღის გადაწევის მიზეზები განმარტა.**



**როგორც გიორგი კვირიკაშვილმა ბრიფინგზე განაცხადა, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული აქვს ვალდებულება, რომ მიმდინარე წლის 17 ივნისს ციფრულ მაუწყებლობაზე გადავიდეს. ამისთვის, ეკონომიკის სამინისტრომ და ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ, კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიასთან ერთად ძალიან დიდი სამუშაო გასწია.**

**„მთელი ინფრასტრუქტურა შექმნილია და ქვეყანა მზადაა ციფრულ მაუწყებლობაზე გადავიდეს, თუმცა, მიმდინარე სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, არ შეგვექმნა დამატებითი დისკომფორტი ჩვენი მოსახლეობისთვის, რომელმაც ისედაც უდიდესი სტრესი განიცადა. ვფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე, ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის თარიღად 17 ივნისის ნაცვლად ავიღოთ 1 ივლისი, რათა ორი კვირა გავიდეს საიმისოდ, რომ ქვეყანა გამოვიდეს ასეთი მდგომარეობიდან, საგანგებო რეჟიმიდან და უფრო დამშვიდებულ რეჟიმში მოხდეს აღნიშნული პროცესის განხორციელება", — განაცხადა კვირიკაშვილმა.**

**ინტერპრესი**

◎ თანადგომა

# თბილისის თასზე გაყიდული ბილეთებიდან შემოსული თანხა დაზარალებულებს მოხმარდება

**საქართველოს რაგბის კავშირი მწუხარებას გამოთქვამს და უსამძიმრებს 13 ივნისს სტიქიური უბედურების დროს დაღუპულ ჩვენს თანამოქალაქეთა ოჯახებს.**

თბილისის თასის მეორე რაუნდის დღეს გასამართ მატჩებზე დასასწრები ბილეთებიდან შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდება სტიქიის დროს დაზარალებულთა ოჯახებს.

თბილისის თასი 2015-ის ბილეთების რეალიზაცია დღეს განახლდება და ქომაგებს მათი შეძენა ყოველდღიურად ავჭალის სარაგბო სტადიონის სალაროებში შეეძლებათ. სალაროები 12-დან 19 საათის ჩათვლით იმუშავებს.

**ბილეთის ფასი 5 ლარი იქნება.**

თბილისის თასი 2015 -ის დარჩენილი მატჩების განრიგი:

**ოთხშაბათი, 17 ივნისი**

17:00 ურუგვაი - მზარდი ირლანდია.




19:00 საქართველო - მზარდი იტალია.

**კვირა, 21 ივნისი.**

17:00 ურუგვაი — მზარდი იტალია.

19:00 საქართველო — მზარდი ირლანდია.

**მანუჩარ გიორგაძე**

◎ მოვლენის წინ

# „დინამო არენას“ უეფას წარმომადგენლები ესტუმრნენ



**თბილისში გასამართ უეფას სუპერთასთან დაკავშირებით საქართველოში უეფას დელეგაციის წევრები არიან ჩამოსულნი, რომლებიც მომდევნო დღეების განმავლობაში „დინამო არენაზე“ მიმდინარე სამუშაოებს დააკვირდებიან და შეაფასებენ. გუშინ „დინამო არენაზე“ სტუმრებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ და ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რევაზ არველაძემ უმასპინძლეს.**

უეფას დელეგატები საქართველოს დედაქალაქში 19 ივნისამდე დარჩებიან.

სტადიონზე უკვე მთლიანად დასრულებულია ძველი სკამების დემონტაჟი და სარემონტო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

„უეფას წარმომადგენლები თბილისში ზეგამდე დარჩებიან. უეფა კმაყოფილია სტადიონის ამჟამინდელი მდგომარეობით. ხვალ უსაფრთხოების დეტალებზე შევთანხმდებით. იმედია, რომ ევროპის სუპერთასს მაღალ დონეზე ვუმასპინძლებთ. ჩვენ ამისთვის მზად ვართ“, — განაცხადა ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა ზვიად სიჭინავამ.

უეფას ევროპის სუპერთასი საქართველოს დედაქალაქში 11 აგვისტოს გათამაშდება და მასში ერთმანეთს ესპანური გუნდები „ბარსელონა“ და „სევილია“ დაუპირისპირდებიან.

**კობა კობახიძე**

◎ ფეხბურთი

# მესიმ მატჩის საუკეთესო მოთამაშის პრიზზე უარი თქვა

**არგენტინის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების კაპიტანმა ლიონელ მესიმ ჩილეში მიმდინარე კოპა ამერიკის ჯგუფურ ეტაპზე პარაგვაისთან ფრედ (2:2) დასრულებული მატჩის შემდეგ საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი პრიზის მიღებაზე უარი თქვა. ამის შესახებ ესპანური გამოცემა Marca იუწყება.**

ხერარდო მარტინოს შეგირდები შეხვედრის მსვლელობისას 2:0 იგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ ქულას დასჯერდნენ. ამის გამო „ბარსელონას“ ფორვარდი ისეთი გულდაწყვეტილი იყო, რომ კუთვნილ ჯილდოზე უარი განაცხადა. საბოლოოდ მატჩის საუკეთესო მოთამაშისადმი განკუთვნილი პრიზი პარაგვაელ ნელსონ ვალდესს გადაეცა.

**ცნობისთვის:** 36-ე წუთზე მესიმ პენალტით ანგარიში 2:0 გახადა, მაგრამ...



**გიორგი შოთაძე**

◎ ჭადრაკი

# პოლგარი უნგრეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა

**ცნობილი უნგრელი მოჭადრაკე, საერთაშორისო დიდოსტატი ვაჟთა შორის იუდიტ პოლგარი თავისი ქვეყნის ვაჟ მოჭადრაკეთა ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ამის შესახებ ინფორმაციას თავად პოლგარი ავრცელებს.**



შეგახსენებთ, რომ იუდიტი არამარტო საჭადრაკო, არამედ მთლიანად სპორტული სამყაროსთვის კარგად ნაცნობი სამი დიდან ერთ-ერთია, რომელთაც მათი მამა ავარჯიშებდა და ვაჟთა შორის ტურნირებისათვის ამზადებდა. მამას მხოლოდ იუდიტმა გაუმართლა, რომელმაც ვაჟებთან ჭიდილში საკმაო წარმატებებს მიაღწია. იგი ჯერჯერობით ერთადერთია მანდილოსანთა შორის, რომელიც 2700-იანთა ელიტარულ რეიტინგში შევიდა. ქალთა შორის პრინციპულად არ თამაშობდა და ამიტომაც ვერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. მას რომ ეს პრინციპულობა არ გამოეჩინა, არავინ იცის, რამდენჯერ დაიდგამდა თავზე საჭადრაკო გვირგვინს.

იუდიტი დებში საშუალო გახლავთ. უფროსი და ჟუჟა ძირითადად ქალთა შორის თამაშობდა. ამ სქესის წარმომადგენელთა შორის კლასიკურთან ერთად სწრაფ ჭადრაკშიც აქვს მოგებული მსოფლიო ჩემპიონატი. რაც შეეხება უმცროს სოფიას, დებისაგან განსხვავებით, მას სერიოზული წარმატება არ ჰქონია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივიც კი ვერ შეასრულა. იგი ქართველ ებრაელ იონა ქოსაშვილზე არის გათხოვილი და ამჟამად ისრაელში ცხოვრობს.

იუდიტ პოლგარმა აქტიურ სპორტს თავი 2014 წელს დაანება, წელს კი ჭადრაკს კვლავ დაუბრუნდა და ახლა სპორტის ამ სახეობას მწვრთნელის სახით მოევლინა.

**ბეჟან დოლიძე**

◎ ავტოსპორტი

# იმოლა იტალიის დიდი პრიზის გადარჩენას ცდილობს

**მონცას ტრეკის პრობლემების პარალელურად იტალიის დიდი პრიზის ჩატარების სურვილი ოფიციალურად დაადასტურა იმოლას ავტოდრომის ხელმძღვანელობამ. ისინი მზადყოფნას გამოთქვამენ, რომ თუ მონცა ვერ შეძლებს რბოლის მასპინძლობას, ამ შემთხვევაში 2017 წლიდან თავისთან მიიღებენ იტალიის ეტაპს. ამ საკითხის განსახილველად ქალაქ იმოლას მერი დანიელე მანკა ბერნი ეკლსტოუნს ლონდონში ეწვია.**

ენცო და დინო ფერარების სახელობის ტრეკზე ფორმულა ერთის რბოლა — სან მარინოს დიდი პრიზი ბოლოს 2006 წელს გაიმართა. შემდგომი სეზონიდან იქ რეკონსტრუქცია დაიწყო, რომლის მიზანიც ტრასის ფ1-ის მოთხოვნების შესაბამისად მოწყობა იყო. თუმცა, დიდი პრიზების ცირკი იქ აღარ დაბრუნებულა.

ეკლსტოუნს მონცას წარმომადგენლებიც შეხვდნენ. ეს მონაკოს დიდი პრიზის დღეებში მოხდა. ამ აუდიენციის დროს ფ1-ის კომერციულ უფლებათა მფლობელმა მათ პირდაპირ განუცხადა, რომ თუ იმდენივეს არ გადაიხდიან, რამდენსაც ევროპის სხვა ტრეკები, რბოლა იქ აღარ მოეწყობა. მოკლედ, ლეგენდარულ ტრეკს ორი რბოლაღა დარჩა ჩასატარებელი და თუ ფინანსებს დროულად არ მოუყრის თავს, 2017 წლიდან იქ ეტაპი აღარ გაიმართება.

ასეთი სიმკაცრის გამო ბერნის ფ1-ის არამხოლოდ იტალიელი, არამედ მთელი მსოფლიოს ფანები აკრიტიკებენ. მათ ვერ წარმოუდგენიათ მსოფლიო ჩემპიონატის კალენდარი მონცას გარეშე. და კიდევ უფრო უარესი იქნება, თუ ფ1 იტალიის დიდ პრიზს დაკარგავს.

„ჩვენ გვინდოდა ეკლსტოუნისთვის გვეჩვენებინა, რომ იმოლას ფორმულა 1-ში დაბრუნება სურს. ამასთან, ჩვენი მთავარი მიზანი იტალიის დიდი პრიზის შენარჩუნებაა“, — ამბობს მანკა და დასძენს: „ჩვენ მას გეგმა წარვუდგინეთ, რომელიც ჩვენი ტრეკის რეკონსტრუქციას ეხება და მისი ინფრასტრუქტურის განახლებას ვაპირებთ“.

მანკას თქმით, ეკლსტოუნმა მზადყოფნა გამოთქვა იმოლა ფორმულა 1-ში 2017 წლიდან დააბრუნოს: „ბერნიმ გვითხრა, რომ არასდროს ჰქონდა იმოლადან წასვლის სურვილი. მან გაიხსენა, რომ პირველმა სწორედ ენცო ფერარიმ ითხოვა ჩვენს ტრასაზე რბოლის ჩატარება. რა თქმა უნდა, არის ბევრი მოსაგვარებელი საკითხი, რომელთაგან გამორჩეული ეკონომიკაა. ბერნი შეგვპირდა, რომ ჩვენი თემა აუცილებლად განიხილება და რბოლის ჩატარების დროს და პირობებს გაგვაცნობს. ჩვენ დაბრუნებას 2017 წელს ვგეგმავთ“, — ამბობს მანკა.




**ბადრი იაშვილი**

◎ კალათბურთი

# მაიკლ ჯორდანი მორიგი ტიტულის მოპოვებას აპირებს

**ლეგენდარული კალათბურთელი მაიკლ ჯორდანი მორიგი ტიტულის მოპოვებას, ამჯერად კლუბის მეპატრონის რანგში აპირებს.**

**ამის შესახებ განაცხადა თავად ჯორდანმა.**



„ესაა ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც ამ ეტაპზე კალათბურთთან მაკავშირებს. მინდა მოვიგო კიდევ ერთი ტიტული, ამჯერად კლუბის მეპატრონის როლში. ვიცი, რომ ეს იოლი არ იქნება, მაგრამ როდესაც ეს მოხდება, ეს იქნება ისეთივე დიდებული, როგორიც პარკეტზე თამაშის დროს მომიპოვებია“, — განაცხადა ჯორდანმა.

შეგახსენებთ, რომ მაიკლ ჯორდანი ნბა-ში მოასპარეზე კლუბ „შარლოტის“ მეპატრონეა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ინტერნეტიდან

# ვალენტინა ზელიაევა - მუნდიალის სახე

**მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში გასამართ 2018 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს წყალი აქვს შემდგარი და ამას უეფაში მომხდარი სკანდალიც ემატება, იქ სამუნდიალო სამზადისი გრძელდება და ამჯერად ფორუმის სახედ წარმოსაჩენი ლამაზმანების შერჩევა მიმდინარეობს.**

სხვა უშხვართეს ასულებთან ერთად ჩემპიონატის ორგანიზატორებს მის სახედ და სტუმრებთან თავის მოსაწონებლად ცნობილი რუსი მოდელი ვალენტინა ზელიაევა დაეხმარებათ, რომელმაც თავად გამოთქვა ამ ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილი და თან ამას უსასყიდლოდ გააკეთებს.



ჩვენს ჩრდილოეთით მდებარე „ტკბილ და კეთილ“ სახელმწიფოში მცხოვრები უამრავი ადამიანის პატივისცემა გამოიწვია ამჟამად ევროპაში მოღვაწე ულამაზესი ვალენტინა ზელიაევას ამ გადაწყვეტილებამ, რადგან თანამედროვე ეპოქაში უსასყიდლოდ საკუთარ ქვეყანას არცთუ ბევრი პიროვნება დაუდგება გვერდით.

**როსტომ რაჭველიშვილი**

ჩვენი კარაბადინი

# ჭეშმარიტების მომენტი

## ახალი შეხედულება წინამდებარე ჯირკვლის კიბოზე

**ამ ტიპის დაავადებით დასნეულების შემთხვევების ოდენობა ბოლო ათწლეულის მანძილზე, ორჯერ გაიზარდა. სადღეისოდ ეს ავადმყოფობა მამაკაცებში ონკოლოგიურ დაავადებათა შორის მეორე ადგილზეა, ყოველწლიურად მას 30 ათასზე მეტ კაცს უდგენენ, თანაც შემთხვევათა 40 პროცენტს — უკვე მე-3-მე-4 სტადიებზე.**

იმისთვის, რომ ავადმყოფობის დასაწყისი სტადია არ გამოგეპაროთ, ყოველმა მამაკაცმა სპეციალური ანალიზი უნდა ჩაიტაროს.

პოსტსპეციფიკური ანტიგენი (პსა) წინამდებარე ჯირკვლის კიბოს მარკერია, ამიტომ, 40-45 წლის ასაკიდან მოყოლებული, მასზე სისხლის ანალიზი ყველა მამაკაცმა უნდა ჩაიტაროს. განსაკუთრებით კი ეს ეხება მათ, ვინც გაზრდილი რისკის ჯგუფში იმყოფება. ეს ის ხალხია, რომელთა უახლოეს ნათესავებს — მამებს, ძმებს ეს ავადმყოფობა აღმოაჩნდათ. **თუკი 40-45 წლის ასაკში პსა-ს დონე ერთზე ნაკლებია, წინამდებარე ჯირკვლის კიბოს განვითარების ალბათობა ძალზე დაბალია, ანდა, სულაც, ნოლს უახლოვდება,** ამიტომაც შემდეგ სისხლის ანალიზის ჩატარება მხოლოდ 8 წლის შემდეგაა საჭირო.

ამავე შუალედით ანალიზის გამეორებაა საჭირო იმ შემთხვევაში, **თუკი 60 წლის ასაკში პსა 2-ზე ნაკლებია**. მაგრამ თუკი ეს მაჩვენებლები უფრო მაღალია, ანალიზის ჩატარება წელიწადში ორჯერაა საჭირო. თუ განმეორებითი ანალიზის დროს პსა-ს დონე ორმაგდება სამ წელზე ნაკლებ შუალედში, ეს მეტად საგანგაშო სიმპტომია. ამ შემთხვევაში შეიძლება დადგეს წინამდებარე ჯირკვლის ბიოფსიის ჩატარების საკითხი, რომელიც ულტრაბგერითი კონტროლით ხორციელდება.

მაგრამ ისიცაა, რომ პსა-ს დონის მომატება ყოველთვის იმას როდი ნიშნავს, რომ პაციენტს კიბო აქვს. საქმე ის არის, რომ ეს წინამდებარე ჯირკვლის სხვა დაავადებების მარკერიცაა, მაგალითად, ადენომის, პროსტატიტის და ა. შ. სპეციალისტს მხოლოდ დამატებითი მეთოდების, მათ შორის თითური რექტალური გამოკვლევით, საჭიროების შემთხვევაში სხვების დახმარებით შეუძლია პსა-ს დონის ამაღლების ჭეშმარიტი მიზეზის დადგენა.

ამასთან, ხშირია შემთხვევები, როცა პაციენტს პროსტატის კიბო საწყის სტადიაზევე დაუდგინდა, მაგრამ ექიმები მკურნალობის დაწყებას არ ჩქარობენ. ამ ტაქტიკას ამჟამად მრავალი ონკოლოგი მიმართავს. ავადმყოფებს სამ ჯგუფად ჰყოფენ: კარგი, ზომიერი და ცუდი პროგნოზის პაციენტებად, რაც სიმსივნური პროცესის გავრცელებაზე და პსა-ს დონეზეა დამოკიდებული (10-მდე — კარგი, 10-დან 20-მდე — ზომიერი, 20-ზე მეტი მაღალი — ცუდი).

ამჟამად დამტკიცებულია: **კარგი პროგნოზის ჯგუფის 40 პროცენტ პაციენტს მკურნალობა, შესაძლოა, სულაც არ დასჭირდეს. დანარჩენი 30-40 პროცენტი მკურნალობის კურსს მოგვიანებით გაივლიან, რითაც აქტიური ცხოვრების რამდენიმე წელს მოიგებენ — სიმსივნის საწინააღმდეგო საკმაოდ აგრესიული, მათ შორის, ქირურგიული, სხივური, ქიმიოთერაპიული მკურნალობის გარეშე, რომელთა დროს შარდვასთან, სწორ ნაწლავთან, სასქესო და ჩასახვის უნარის ფუნქციასთან პრობლემები წარმოიქმნება.**

დაბალი რისკის ჯგუფში გამონაკლისს ძალიან ახალგაზრდა პაციენტები წარმოადგენენ, რომლებშიც, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ავადმყოფობამ, შესაძლოა, სიცოცხლისთვის სახიფათო ხასიათი მიიღოს.

**დანარჩენებმა კი თავს დიდი დაკვირვებით უნდა მიხედონ: საჭიროა პსა-ს მონიტორინგის რეგულარულად, წელიწადში ორჯერ კი — ბიოფსიის ჩატარება.** თუკი პაციენტი 75 წლისაა, მას წინამდებარე ჯირკვლის მაღალდიფერენცირებული კიბოს საწყისი სტადია დაუდგინეს და პსა-ს დაბალი დონე აღმოაჩნდა, იმის ალბათობა, რომ იგი კიბოსგან დაიღუპება, მხოლოდ 2-3 პროცენტია.

სადღეისოდ, ონკოლოგთა არსენალში თანამედროვე მეთოდიკების ფართო სპექტრია. ესენია, კერძოდ, მაღალი სიზუსტის ლაზერული თერაპია, რომლებიც სიმსივნის მოლეკულარულ-გენეტიკურ კვლევებზეა დაფუძნებული, ლაპაროსკოპიული ქირურგიული მეთოდიკები, ინოვაციური სამკურნალო საშუალებების მიღებაზე დაფუძნებული თერაპია და სხვ. ამ უკანასკნელებს მიეკუთვნებიან ახალი ეფექტიანი და არატოქსიკური პრეპარატები, რომლებიც ავადმყოფობის პროგრესის შეკავების საშუალებას იძლევიან და პაციენტების სიცოცხლის ხანგრძლივობის შენარჩუნების შესაძლებლობას ჰქმნიან ავადმყოფობის მესამე და მეოთხე სტადიებზეც კი. ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია, რომ მკურნალობის ჩატარება შესაძლებელია ბინაზე, ცხოვრების ჩვეული წესის შეუცვლელად.

**ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადრეულ სტადიებზე წინამდებარე ჯირკვლის კიბო არანაირად არ ვლინდება. სნეულებამ შეიძლება თავი იჩინოს გახშირებული შარდვით, საზარდულში ტკივილებით, შარდსა და სპერმაში სისხლით. მაგრამ ასეთი სიმპტომები შესაძლოა სხვა დაავადებათა, მაგალითად, პროსტატის კეთილთვისებიანი გადიდების ნიშანიც იყოს.**

### ინფორმაცია თემაში

**წინამდებარე ჯირკვლის განვითარების რისკის ფაქტორებია:**

- **ასაკი — ავადმყოფობის შემთხვევების ორი მესამედი 65 წელზე მეტი ასაკის მამაკაცებშია;**
- **მემკვიდრეობა — თუკი ოჯახში ორი ან მეტი კაცი იყო მსგავსი დიაგნოზით, გამეორების შანსი 5-11-ჯერ იზრდება;**
- **რასობრივი და ეთნიკური კუთვნილება — აფროამერიკელებში ეს ავადმყოფობითობა 2-3-ჯერ უფრო მეტადაა გავრცელებული;**
- **ცხოვრების წესი — თამბაქოს მოწევა, ალკოჰოლი, არასწორი კვება (ცხიმიანი საკვების მიღება).**

ЗДОРОВЬЕ

## განცხადება

2015 წლის 10 აგვისტოს 14 საათზე, ქალაქ ბორჯომში, მესხეთის ქუჩა №5 (გამგეობის შენობა), გაიმართება შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ მიერ კურორტ ბაკურიანის ხელოვნური გათოვლიანებისთვის 15 900 $м^3$. მოცულობის წყლის რეზერვუარის მშენებლობის და ექსპლუატაციის გ.ზ.შ.-ს ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს კურორტ ბაკურიანის ხელოვნური გათოვლიანებისთვის 15 900 მ³. მოცულობის წყლის რეზერვუარის მშენებლობა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №70.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

**შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“**

საკონტაქტო პირი: დავით ჯაოშვილი ტელ: +995 577 327069

## განცხადება

2015 წლის 12 აგვისტოს 14 საათზე, ქალაქ დუშეთში, რუსთაველის ქუჩა №27 (გამგეობის შენობა), გაიმართება შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ მიერ კურორტ გუდაურის ხელოვნური გათოვლიანებისთვის 95 600 მ³. მოცულობის წყლის რეზერვუარის მშენებლობის და ექსპლუატაციის გ.ზ.შ.-ს ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს კურორტ გუდაურის ხელოვნური გათოვლიანებისთვის 95 600 მ³. მოცულობის წყლის რეზერვუარის მშენებლობა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №70.

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

**შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“**

საკონტაქტო პირი: დავით ჯაოშვილი ტელ: +995 577 327069

კრიმინალი

# მებაჟეებმა არადეკლარირებული თანხა ამოიღეს

**12 ივნისს საბაჟო გამშვებ პუნქტზე „ბათუმის აეროპორტი“ თანხის დეკლარირების წესის დარღვევის ფაქტი გამოავლინეს. რეისით სტამბოლი-ბათუმი თურქეთის მოქალაქე ე.დ. ჩამოფრინდა, რომლის ხელბარგის ეჭვის საფუძველზე დათვალიერების შედეგად, მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული თანხა — 68200 თურქული ლირა და 3179 აშშ დოლარი (სულ 63418,73 ლარი) აღმოაჩინეს.**

**უწყების ინფორმაციით, ანალოგიური შემთხვევა მოხდა 13 ივნისს, სგპ „სადახლო-საავტომობილოს„ ტერიტორიაზეც. სომხეთის მხრიდან შემოსულ მოლდოვის რესპუბლიკის მოქალაქე მ.ს.-ს, ეჭვის საფუძველზე დათვალიერების შედეგად, მებაჟე ოფიცრებმა სხეულზე მიმაგრებული არდეკლარირებული თანხა - 15300 აშშ დოლარი (34415,82 ლარი) და 1700000 რუსული რუბლი (63070 ლარი) აღმოუჩინეს.**

**საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად, ორივე მგზავრს სანქციის სახით შეეფარდა ფულადი ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით.**

## განცხადება

# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ივანე მესხის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ივანე მესხი (პ/ნ 01009007738), თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №2, ბინა №69;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, ჩაჩავას ქ. №8, მე-5 სართული, ფართი 266.15კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 01.13.02.004.086.01.518).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 193050 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 1 ივლისი, 11 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალეები:**
შპს „მგგს საქართველო“ (ს/კ 205099212), თბილისი, ჩაჩავას ქ. №8;
ივანე მესხი (პ/ნ 01009007738), თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №2, ბინა №69;
რევაზ მესხი (პ/ნ 01008047730), თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №2, ბინა №69;
შპს „მულტი სალარო“ (ს/კ 205167004), თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-6 კვ., №25, ბინა 57;
მარია კოხია (პ/ნ 62014007643), თბილისი, ბურძგლას ქ. №112;
ხვიჩა მაქაცარია (პ/ნ 62005003653), თბილისი, ბურძგლას ქ. №112.

6. აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. აუქციონის პირობები:
- **აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;**
- **მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;**
- **აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.**
- **აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი** GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 1 ივლისის, 11 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
293-37-87; 568 82-09-84..

> **„გიორგი სააკაძე! თითქმის 400 წელიწადია აწვალებს ეს სახელი ქართველი კაცის გონებასა და სულს, მარად ცხოველი საფიქრალი და დაუცხრომელი „საწვალებლით“.**
>
> **ლევან სანიკიძე**

# დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა

**„ქართლში დავბრუნდები და მალეც!... დიდი ხანია, გავიგე: მხოლოდ ქართველთა სამეფოების გაერთიანებით, მეფის ერთხელისუფლებიანობის განმტკიცებით შეიძლება აღორძინდეს საქართველო. გეფიცები, ჩემო მეფევ, დავით აღმაშენებელო!... მე გიორგი სააკაძე მოურავი, პირველი ვალდებული სამშობლოს წინაშე, წმინდათ და კვლავაც შევასრულებ შენს ანდერძს: „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე!“** — ეს ფიცი დადო დიდმა მოურავმა საქართველოს უპირველესი მეფის, „ძლევაი საკვირველის“ შემოქმედის დიდი დავით აღმაშენებლის საფლავთან. ყველა ქართველის ოცნება ჰქონდა ცხოვრების მიზნად დასახული მეორე „ძლევაი საკვირველის“ გამმეორებელს, ტაშისკარის, მარტყოფის გმირსა და ამავ შორის ქართველთა ყველაზე დიდი ტრაგედიის ბაზალეთის ომის მონაწილეს, დიდ მხედართმთავარს გიორგი სააკაძეს. ძნელად თუ მოიპოვება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ისეთი ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრებაგანვლილი სასიქადულო მამულიშვილი, როგორიც თავად გახლდათ.

წლეულს, 18 ივნისს დიდი მოურავის დაბადებიდან 440 წელი შესრულდა, დიახ, 440 წლის წინათ (ისტორიული წყაროებით იგი დაბადებულია 1570-75 წლებს შორის) სააკაძეთა ფეოდალური გვარის რეზიდენციაში, ტანის ხეობაში, სოფელ ფელში სიაუშ სააკაძის ოჯახში იშვა სწორედ ის გმირი, რომელმაც თავისი ტრაგიკული ბედით (თუ უბედობით!) მრავალი ისტორიის მჩხიბავს გაუჩინა საფიქრალი როგორც თავისი აღმატებული გმირობითა და თავდადებით, ასევე ბევრისათვის (ეს კიდევ ღმერთმა განსაჯოს) მიუღებელი შეცდომებით.

როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს (ვისი ლოცვა-კურთხევითაც გამოიცა ამ საიუბილეო დღეებში საქველმოქმედო ფონდის „მამულიშვილთა გახსენების“ პრეზიდენტის ბატონ **ბონდო კობაძის** ავტორობით შედგენილი შესანიშნავი წიგნი **„გიორგი სააკაძე — 440“**) — **„ამ პიროვნებას მეტად რთულ დროს მოუწია ცხოვრება და თავის ასპარეზზე მოღვაწეობისას მრავალი ფაქტორისთვის ანგარიშის გაწევა. დაუშვა ძალიან დიდი შეცდომებიც, მაგრამ, ვფიქრობთ, სამშობლო მისთვის უმთავრესი იყო. ღმერთმა შეიწყალოს გიორგი სააკაძის უკვდავი სული“.**

სწორედ ამ ახლადგამოცემულ წიგნში, რომლის რედაქტორი პროფესორი, მხატვარი **ნიკო ხერკელაძე** გახლავთ (წიგნი გაფორმებულია მის მიერ შესრულებული დიდი მოურავის თანამედროვეთა და თანამებრძოლთა გრაფიკული პორტრეტებით. თავმოყრილია ქართველ და უცხოელ ისტორიკოსთა, მწერალთა, მკვლევართა ნააზრევი დიდი მოურავის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ისტორიული წყაროები (როგორც ქართული, ასევე უცხოელ ისტორიკოსთა და გიორგი სააკაძის თანამედროვე მემატიანეთა მიერ აღნუსხული) სრულად გვიხატავენ დიდი მამულიშვილის პორტრეტს.




წიგნში შესულია ამონარიდები არჩილის „არჩილიანიდან“, იოსებ თბილელის თხზულება „დიდ-მოურავიანი“, გიორგი სააკაძე ხალხურ პოეზიასა და ზეპირსიტყვიერებაში, უცხოელი ისტორიკოსების შეფასებები დიდი მოურავის შესახებ, ქართველ პოეტთა ლექსები გიორგი სააკაძეზე. აქვე გაეცნობით დიდი მოურავის პირდაპირ შთამომავლებს — საქართველოს სახალხო არტისტს **მარო თარხნიშვილს,** დიდ ქართველ ფიზიოლოგ **ივანე თარხნიშვილს,** მხატვარ **რევაზ თარხან-მოურავს,** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს **იორამ თარხან-მოურავს** და საქართველოს პატრიოტთა ალიანსის თავმჯდომარეს ბატონ **დავით თარხან-მოურავს**.

მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი ხუთგვერდიანი წიგნი, რომელშიც მრავლადაა გამოყენებული საქართველოს ეროვნულ არქივში, მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში დაცული ფოტომასალა და მხატვრული ტილოების რეპროდუქციები, დაიბეჭდა გამომცემლობა „სვეტ +“-ში.

მთელი საქართველო ემზადებოდა ამ დიდი ეროვნული დღესასწაულისათვის. 18 ივნისს გიორგი სააკაძის მოედანზე დაგეგმილი იყო „ქართველი ხალხის დიდი სახალხო, ეროვნული ზეიმი“, რომელიც იმავე დღეს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დიდი გალა კონცერტით დასრულდებოდა. მაგრამ ბოლო დროს საქართველოს დედაქალაქში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების გამო, როდესაც სტიქიამ ადამიანთა სიცოცხლე შეიწირა, დატბორა და გაანადგურა დედაქალაქის ცენტრალური ნაწილი და უსახლკაროდ დატოვა ასობით ჩვენი თანამემამულე, ღონისძიების ორგანიზატორებმა, პრემიერ-მინისტრმა და მთავრობის წევრებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ სახალხო დღესასწაული რამდენიმე ხნით გადაწეულიყო. დიდი ქართველი მხედართმთავრის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სავარაუდოდ, თვის ბოლოს გაიმართება.

**მამუკა ვაშაკიძე**

## ყურადღება!

2015 წლის 19 ივნისს (პარასკევს), 15 საათზე, გაიმართება საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მორიგი სხდომა, რომელზეც მოხსენებით გამოვა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გ.თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის მიმართულების ხელმძღვანელი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

**გივი ლობჟანიძე**

თემაზე: **„საერთაშორისო ტერორიზმის ტენდენციები და საქართველო“.**

სხდომა გაიმართება საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის საკონფერენციო დარბაზში (ალ.ყაზბეგის 47, VI სართული).

დასწრება თავისუფალია.

**აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი, ქ.თბილისის საპატიო მოქალაქე**
**თეიმურაზ ბაბუნაშვილი**

## ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35**.

## განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

## იყიდება

დედოფლისწყაროში ორსართულიანი წითელი აგურით ნაშენი, თუნუქით დახურული სახლი ეზოთი. 12 ოთახი, სველი წერტილებით, სათავსოებით, ბუხრებით, თანამედროვე რემონტით. ხეხილით გაშენებული ეზოს საერთო ფართი 9 ათასი კვ. მ. შესანიშნავი ხედით. ბუნებრივი აირი და წყალი მუდმივად. ოთახების განლაგება საშუალებას იძლევა სახლი გადაკეთდეს სასტუმროდ. ფასი შეთანხმებით.
ტელ. 223296. 599 357 697. 514 333 324.

## ცინცხალი ანეკდოტები

**კონკია: მაშ ასე! ფეხსაცმელი მომერგო, ქორწილი როდისთვის დავნიშნოთ?**
**უფლისწული: მოიცა, მოიცა, ნუ ჩქარობ, ჩემო კარგო! ეს ჯერ ნახევარფინალი იყო! ახლა კი №5 ბიუსჰალტერის მოზომვას შევუდგეთ!**

* * *

**— ჭიჭიკია, იცოდე, ან მუშაობის სტილი უნდა შეიცვალო, ანდა ორიენტაციას უფროსი შეგიცვლის!**

* * *

**— როგორა ხარ, მეზობელო?**
**— რა ვიცი, ბევრით ვერაფრით გაგახარებ! მე ყველაფერი კარგად მაქვს!**

* * *

**კარზე გაბმული ზარი ირეკება:**
**ქალი: — ვაიმე, დედიკო! შეძვერი კარადაში, თუმცა არა, ლოგინის ქვეშ, ჩქარა, ლოგინის ქვეშ!**



**მამაკაცი: — რა ხდება, ქალო, მე ხომ შენი ქმარი ვარ!**
**ქალი კართან მიდის: — წადი აქედან, წაეთრიე! ჩემი საყვარელი ქმარი სახლშია!**

* * *

**— ექიმო, მიშველე რამე, მოვკვდი კაცი, მთელი თვეა მახველებს, ვერაფრით გავიჩერე ეგ ოხერი. რას მირჩევთ?**
**— ყოველ დილით სამი აბი პურგენი!**

* * *

**— ისე, რა გითხრა, ძმაო, საერთოდ ცოტას ვსვამ, 100 გრამზე მეტს არა... მაგრამ, 100 გრამის შემდეგ სხვა კაცი იღვიძებს. ჰოდა, აი, ის არის რომ სვამს!...**

* * *

**დისკოთეკაზე ჭაბუკი ქალიშვილთან მიდის და ეკითხება:**
**— ცეკვავთ, გენაცვალე?**
**— არა!**
**— ჰოდა, აბა დროს რაზე ვკარგავთ?!**

* * *

**— სადაა, ბიჭო, ჭიჭიკია, ამ ანგელოზივით პურმარილს რო აკლია და ძმაკაცებს რო არ გვკადრულობს?**
**— თუ შევძელი, ერთ-ორ საათში მოვალო!**
**— თუ ვერ შევძელიო?**
**— თუ ვერ შევძელი და ქე ვარ მანდ ათ წუთში!..**

## კადრი



**ავტორთა საყურადღებოდ!**
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24